№ 59 **სახალხო გაზეთი** № 59

შაბათი, 17 ივლისი, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწადი პირველი

სვით მხოლოდ ნადუღი წყალი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა** ღრმა მწუხარებით აუწყებს ტფილისის მცხოვრებთ, რომ 14 ივლისს, დღის 3 ს. და 5 წ. ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა **ტფ. ქალაქის მოურავი**

## თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი

დაკრძალვა მოხდება კვირას, 18 ივლისს, პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს $7^{1}/_{2}$ ს. განსვენებულის ბინაზე (ელისაბედის ქ. № 108). მიცვალებულს გაასვენებენ სიონის ტაძარში. დაკრძალვა მოხდება დიდუბის ეკლესიის ეზოში. (3—6.—2)

**შვილები, ძმები, დები** და **სიძე** თავ. ვასილ ნიკოლოზის ძე **ჩერქეზიშვილისა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ 14 ივლისს, დღის 3 ს. და 5 წუთ. გარდაიცვალა

## თავ. ვასილ ნიკოლოზის ძე ჩერქეზიშვილი.

დაკრძალვა მოხდება კვირას, 18 ივლისს. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს $7^{1}/_{2}$ ს საკუთარ ბინაზე (ელისაბედის ქ. № 108). მიცვალებულს გაასვენებენ სიონის ტაძარში. დაკრძალვა მოხდება დიდუბის ეკლესიის ეზოში. (3—6.—2)

**ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა** აცხადებს, რომ 17 ამა თვეს, დღის 1 საათზე ბანკის სადგომში, ქართველ თავად-აზნაურობის სახლში (ფრეილინის ქუჩა) გადახდილი იქნება პანაშვიდი ტფილისის ქალაქის მოურავის

## თავ. ვასილ ნიკოლოზის ძის ჩერქეზიშვილის

სულის მოსახსენიებლად. (1—6.—1)

**ტფილისის წვრილ ვაჭართა პროფ. საზოგ. მთავარი** და **უბანთა კომიტეტები** მწუხარებით აუწყებენ ტფილისის წვრილ ვაჭრებს ჩვენი ქალაქისა და ხალხისათვის თავ-დადებულ ადამიანის ტფილისის ქალაქის მოურავის

## ვასილ ნიკოლოზის ძე ჩერქეზიშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება დანიშნულია კვირას, 18 ამა მკათათვეს, ელისაბედის ქუჩა, სახლი № 108.

კომიტეტმა დაადგინა მიეცეს წინადადება ქალაქის წვრილ ვაჭრებს ვასილ ნიკოლოზის ძე ჩერქეზიშვილის დაკრძალვის დღეს დაკეტონ თავიანთი სავაჭროები და თავიანთი დასწრებით პატივი სცენ განსვენებულს. (2—6.—1)

## მ წ ე რ ლ ი ს
## ილია ლუკას ძე ბახტაძის
**(ილ. ხონელის)**

ხონის პატივ-საცემად შემდგარი კომიტეტი გარდაცვალებიდან **ათის წლის** შესრულების გამო სთხოვს მეგობართ, ნაცნობთ და პატივისმცემელთ დაესწრონ პანაშვიდს, რომელიც გარდახდილ იქმნება 20 ივლისს 12 ს. ხონის წმ. გიორგის ეკლესიაში. (4—6—2)

კვირას, 18 ივლისს, დ. სურამში სტუდენტის

## სიმონ (სისო) სიმონის ძე მიქელაძის

გარდაცვალების წლის თავზე გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დედა განსვენებულისა **კნ. სოფიო ნიკოლოზის ასული** და ბიძა **მელქისედეკ დიმიტრის ძე მიქელაძეები**. წირვა დაიწყება დილით 10 საათზე, წირვის შემდეგ პანაშვიდი. (1—ფ.—1)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.**: შინ. და ბავშვ. ყ. დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.
**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელ., ორშ., ოთხშ., და პარ. $10^{1}/_{2}$—11 ს.
**გორბოვსკი-ზარანეკი ე. გ.** თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.
**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^{1}/_{2}$—$3^{1}/_{2}$ ს.
**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი, ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და ხუთ. 1—2 ს.
**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.
**ფირადოვი რ. ბ.** ქირურ: ყოველ-დღე 11—12 ს.
**პაპოვი ვ. ა.** ქურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.
**ხოხბოლევსკი ვ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკრო-ქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.
რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—6.—229)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოკზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ვ. გამყრელიძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
**შ. ა მიქელაძე**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. $1^{1}/_{2}$—$2^{1}/_{2}$ ს.
**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
**ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.
**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით (წლ.—6.—390)

## ს გ უ რ ჯ ა ა ნ ი
შაბათს, 17 ივლისს 1910 წელს.

**გურჯაანის სამკითხველოს სასარგებლოდ** გაიმართება მხიარული

## საღამო-არიფანა

მრავალის გასართობებით, სხვათა შორის გამოჩენილი **შანტეკლერი**, და დიდის დივერტისმენტით, წარმოადგენენ ჭავჭავაძის **„დედა და შვილს"**. დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი, დუდუკი და საზანდარი. ბუფეტი და ბოლოს ვახშამი.
მონაწილეობენ: ხარაჯიშვილი, აბაშიძე, ჯიბლაძე, ჯავახიშვილი, აბდუშელი, კარბელაშვილი, ზუმბულიძე და სხვ.
ფასები—1 მან.—50 კ.-მდის ბავშვებისთვის 50 კაპ.
დიასახლისი **კნ. დარია ანდრონიკაშვილისა.**
გამგე ექიმი **დიმიტრი ჯავახიშვილი.**



კვირას, 18 ივლისს

## ქართულს სახაფხულო თეატრში

გაიმართება **შესანიშნავი ფრანგული**

## ჭ ი დ ა ო ბ ა

**ცნობილი მოჭიდავის ეიჟენის ხელმძღვანელობით** ჩამოსულია 20 მოჭიდავე ფალავანი.
კვირას იჭიდავებენ სამი წყვილი ფალავანი
**ადგილების ფასი** (30 კაპ. 2 მან.)
**ყველასათვის ხელმისაწვდომია.**
ჭიდაობის დაწყებამდე სინემატოგრაფი უჩვენებს.
**საინტერესო, სამეცნიერო და გასართობ სურათებს.** (3—6.—2)

**გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერთ BATON-ის წიგნი**

## „ერი და კატეგორია"

კერძო მყიდველებმა და წიგნის მაღაზიებმა, ვისაც სურს წიგნი შეიძინოს, უნდა მიმართონ ქ. შ. წერა კითხვის გამავრცელებელ საზ. წიგნის მაღაზიას.

**ადრესი:** Тифлисъ, Общество распространенія грамотности среди Грузинъ, Дворцовая ул. д. Груз. Дворянства. (0—20)

## დასურათებული ასაწყობი ანბანი კუბიკებზე
**(„ნ ა კ ა დ უ ლ ი ს" პ რ ე მ ი ა).**

შემუშავებულია ცალკე კომისიის მიერ პედაგოგებისაგან, მოკლე ხანში დამზადდება და დაურიგდება პრემიად „ნაკადულის" წლიურ ხელის-მომწერთ. რადგანაც ამგვარი ანბანის მოთხოვნილება ქართულ ოჯახებში დიდია, ამიტომ რედაქციას სურვილი აქვს დახმარება გაუწიოს საზოგადოებას და სთხოვს მსურველთ, არა ხელის-მომწერთ, ეხლავე დაიკვეთონ, რადგანაც რედაქცია გასასყიდად დასურათებულ ანბანს კუბიკებზე ვერ დაამზადებს. დაკვეთა შეიძლება 15 ენკენისთვემდე; ეღირება გაუგზავნელად 1 მანეთი.

გაზეთ „სახალხო გაზეთის" ქუთაისის ხელის მომწერთა

## საყურადღებოდ

უკანასკნელად ვსთხოვ გაზეთ „სახალხო გაზეთის" ქუთაისის იმ ხელის მომწერლებს, რომელთაც ხვედრი ფული ათას ცხრაას ათი წლის მეორე ნახევარისა თავის დროზე არ შემოუტანიათ, დააჩქარონ მისი შემოტანა.
ქუთაისის აგენტის ისიდორე კვიცარიძის მეუღლე ნიფადორა კვიცარიძისა. (3—3)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.**
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—6.—109)

**ექიმი** ბორჯომში **ა. ს. ალადაშვილი**
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის ტერაპევტიულ კლინიკისა იღებს შინაგან ავადმყოფობით სნეულებს. დილის 9—12 და საღამოს 5—6 ს., ურუსოვის ქუჩა სახლი ზუბალოვისა. 25—6.—23

**ექიმი** ქალ. **ი. გოკიელოვი** ქუთაისში
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. $5^{1}/_{2}$—$6^{1}/_{2}$ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება საღამოს $6^{1}/_{2}$—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჰელექიანებისა, ელექტრო-ტერაპია, ელექტრონის ფიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (50—6.—25)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოთით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ზემო აბასთუმანში** იძლევა აგარაკი ორი ოთახი თავის სამზარეულოთი. ოთახები მოთავსებულია ზემო სართულში და გარშემო მშვენიერი ბაღი აკრავს. პლატფორმიდან სულ შვიდი წუთის სასიარულოა.
იკითხეთ „სახ. გაზ." რედაქციაში.

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—4 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4. სახლი ჯაბაშვილისა (უ)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**
იზმაილოვის ქუჩაზე N 2. **გადავიდა** იღებს ავადმყოფთ დილით 10 ს.—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

**ექიმი** აბასთუმანში **ალექსანდრე ალექსანდრეს ძე თუმანიშვილი**
იღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფებს. (25—320—21)

**ექიმი ვასილ წერეთელი** ქუთაისში
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—229)

**ექიმი ე. ვაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—169

**ექიმი შ. ა. მიქელაძე**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს $5^{1}/_{2}$—$6^{1}/_{2}$ საათამდის კახეთის ქ. ტელეფონი N 816.

## დეპეშები
(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

**16 ივლისი.**

### საზღვარ-გარედ.

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატა. სანამ პალატა შეუდგებოდა მეფის ფიცის ფურცლის კანონ-პროექტის ხელ-მეორედ გადაკითხვას, ასკვიტმა სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა, რომ კანონ-პროექტი პარტიულის მოსაზრებით კი არაა შეტანილი, არამედ იმიტომ, რომ გავაუქმოთ ტახტზე ასვლის დროს მეფის დეკლარაციის წაკითხვის აუცილებლობა, რადგან რამდენიმე მილიონ ერთგულ ქვეშევრდომთა შორის ეს დეკლარაცია უკმაყოფილებას იწვევს. ფიცის ფურცლის რედაქცია უნდა შეიცვალოს ისე, რომ მეფემ ხმა მაღლა უნდა გამოაცხადოს თავი კეთილ-მორწმუნე პროტესტანტად. ლიბერალმა რობერტსმა წინადადება შეიტანა კანონ-პროექტის უარ-ყოფის შესახებ. მაგრამ პალატამ დიდის უმრავლესობით უარ-ჰყო ეს წინადადება და შეუდგა კანონ პროექტის ხელ-მეორედ გადაკითხვას.

რეიტერის სააგენტოს ატყობინებენ რომ ამერიკელმა სტატს-სეკრეტარმა ნოქსმა მოხსენება წარუდგინა პრეზიდენტ ტაფტს შესახებ აფრიკის რესპუბლიკის ლიბერიისა. მოხსენებიდან სჩანს რომ შეერთებულ შტატების მთავრობას განზრახვა აქვს ლიბერიის ქომაგად გამოვიდეს საერთა შორისო დავის დროს. მთავრობამ ლიბერიაში გაისტუმრა წარმომადგენელი, რომელმაც უნდა ხელ-შეკრულება დასდოს ლიბერიის მთავრობასთან. წარმომადგენელი ჯერ არ მისულა, გზაშია.

**ბერლინი.** „კელნიშე-ცაიტუნგს" ლონდონიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ ინგლისის პოლიტიკურ წრეებში დიდი განცვიფრებით შეხვდენ ამერიკის ჩარევას აფრიკის საქმეებში.

**ჩიკაგო.** საამშენებლო მუშების საერთო გაფიცვა გამოაცხადეს. უქმად ყოფნა საერთო ხელს აიღებს 18 ათასი მუშა.

**პეკინი.** რუსეთ-იაპონიის შეთანხმების შესახებ ჩინეთის პასუხის გამო გაზეთებმა წერილები დაბეჭდეს და სურვილი გამოსთქვეს, რომ მართვა-გამგეობას დაუბრუნდნენ ის მოღვაწენი, რომელნიც წინანდელ მთავრობის დროს მსახურობდენ. დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობა ჩინეთისათვის მეტად მძიმეა.

**პარიზი.** რუშეტს მიუსაჯეს ორის წლით ციხეში დაპატიმრება და 3000 ფრანკ. ჯარიმის გადახდა. დანარჩენებს მიესაჯათ ჯარიმა ერთს 1000 ფრანკი, ხოლო მეორეს 5000, ამასთან ერთს მათგანს მიესაჯა ოთხი თვით ციხეში დაპატიმრება.

**სოფია.** გაზეთები კვლავ ეხებიან ოსმალეთის პოლიტიკას და მკაცრი კილოთი ჰკიცხავენ. „დნევნიკი" მოუწოდებს მთავრობას ხელი აიღოს ოსმალეთთან მეგობრობაზედ ენერგიული ზომები მიიღოს. ბოლგარიის მთავრობამ უნდა თავი დაანებოს მეგობრულ კილოს, სანამ ოსმალეთის ჯარის კაცები მაკედონიაში მუსრს ავლებენ ბოლგარებს. „ვეჩერნა პოშტა" ამბობს, ტანინში დაბეჭდილი მუქარა ყველას იძულებულს ხდის ეჭვის თვალით შეჰხედოს ახალგაზრდა ოსმალოთა უგუნურ პოლიტიკას. რაც მაკედონიის საზღვრებში ხდება ოსმალეთის შინაურ საქმეს არ შეადგენს, რადგან ბოლგარებს უხდებათ მშიერ-მწყურვალთა და ლტოლვილთა მიღება. ბოლგარიის ხალხი ვერ შეურიგდება თავიანთ მოძმეთა ამოწყვეტას. ყველგან ბოლგარიაში მიტინგები იმართება და პროტესტს აცხადებენ ოსმალეთის მთავრობას მაკედონიაში მიღებულ სასტიკ ზომების წინაამდეგ. სოფიაში კვირას გაიმართება მიტინგი.

### ჰაერში ფრენა.

**ორიოლი.** ბრიანის ქარხნის ინჟენრებმა დაარსეს გუბერნიაში პირველი ჰაერში ფრენის წრე.

**მეცი.** სამი სამხედრო დირიჟაბლი ც. I, პ—I და მ.—II ოთხი საათის განმავლობაში დაცურავდნენ ქალაქის ზევით და შემდეგ მშვიდობიანად ჩამოეშვნენ ძირს.

**ტეგელი.** ბერლინის ახლო სამხედრო დირიჟაბლი მ.-III აფრინდა ჰაერში 14 ივლისს საღამოს 11 საათზე დილის 6 საათს მიფრინდა ერფურტს, 7 საათზე—გოტას 7 საათს და 30 წუთ. ეიზელახს, აქვს შემოუარა გარს ბარტრუგს 200 მეტრის სიმაღლეზე (დაახლოვებით 100 საჟ. სიმაღლეზე.). დილის 9 საათზე დირიჟაბლი მიფრინდა მეინინგენს და კობურგისაკენ გემართა **მოტა.** დირიჟაბლი მ. III მშვიდობიანად ჩამოეშვა ძირს 12 საათსა და 15 წუთს.

### სპარსეთი

**თეირანი.** ქერმან-შახში მდგომარეობა მეტად გამწვავებულია. სარბაზების გაბოროტება ვერ ჩააქრეს. ადგილობრივმა მთავრობამ დახმარება გაუწია, მაგრამ საელჩოს ყაზახები მაინც ქუჩაში ვერა სჩნდებიან. საკონსულოს გამგეს ლისოვსკის სროლა აუტეხეს. ზომები მიიღეს ქერმან-შახის საკონსულოს დარაჯთა რაზმი გააძლიერონ. ამისათვის ყაზვინის რაზმიდან გაიგზავნება მაშველი რაზმი.

### რუსეთი

**სმოლენსკი.** გამგზავრებული ნაწილის მმართველი სენატორი ჩაპლინი მოვიდა მიწად-მომწყობ სამუშაოს დასათვალიერებლად.

**ორიოლი.** ორიოლის მაზრაში მტრედის კვერცხის ოდენა სეტყვამ 1000 დღიური გაანადგურა.

**ხოსნოვიცი.** დომბროვში რედენის ქვანახშირის მაღაროები იწვის.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** პარაკლისის შემდეგ, რომელსაც დაესწრნენ გუბერნატორი, იარმუკის მმართველობის წარმომადგენელნი, ქალაქის წარმომადგენელნი და აურიცხელი ხალხი, იარმუკობა დაიწყო. მისული ხალხი ჯერ ცოტაა.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა ნება დართო 19 ივლი-

სიდან 22-მდე მოიწვიონ მესამე სრულიად რუსეთის კრება (?) მოლვაწეებისა.

გრაფ პოტოცკის ნება დაერთო შეადგინოს აქციონური საზოგადოება პოდოლის რკინის გზის გაყვანისა და ექსპლოატაციისთვის 224 ვერსის სიგძეზედ სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზის სადგურ შეპეტოვკიდან კამენეც-პოდოლსკამდე.

ვოლგობუგულმინის რკინის გზის საზოგადოებას ნება დაერთო გაიყვანოს რკინის გზა ბუგულმიდკან, ვოლგობუგულმინის რკინის გზის, სამაროზლატოუსტოვსვის რკინის გზის სადგურ ჩიშმამდე, სიგრძით 215 ვერსი, ვოლგაზედ სიმბირსკის ახლო უნდა გამართონ ხიდი.

**განჯა.** წყალდიდობის დროს დაიღრჩო 30 კაცი და დაიღუპა 300 სული საქონელი.

**კიშინევი.** სენატორის რევიზიამ ბენდერის საინტენდანტო საწყობი სრულ წესრიგში ნახა.

**ოდესსა.** შავი ჭირით ავად გახდა ორი, მოკვდა ერთი.

**ომსკი.** საინტენდანტოს რევიზიასთან ერთად გაჩხრეკის 28 ბინა და მაღაზია ადგილობრივი ვაჭრებისა. დამტკიცდა, რომ სახაზინო ნივთებით ვაჭრობდნენ.

**კიევი.** საგუბერნიო ერობა შუამდგომლობს, რომ გუბერნიის სოფლის 15 საზოგადოებათა სამმართველოებთან საფოსტო განყოფილებანი გაიხსნან.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა ნება დართო 1910 წლის უკანასკნელ რიცხვებში ხუროთ მოძღვართა მეოთხე მორიგი კრება გამართონ.

მიმდინარე წლის სექტემბერში ეკატერინოსლავში სამხრეთი რუსეთის საოლქო გამოფენის დროს ნება დართულია სამხრეთ რუსეთის ერობათა წარმომადგენლების კრება.

ვაჭრობის მინისტრის თანაშემწის მილლერის თავმჯდომარეობით შესდგა კერძო თათბირი პეტერბურგელი სხვილი პურით მოვაჭრეებისა, რომ პურით ვაჭრობა მოაწესრიგონ, როგორც სამზღვარ-გარეთის ბაზარზედ, ისე ჩვენში. უნდა შეადგინონ კავშირი, პრინციპიალურად ყველა მომხრეა ამისა. წესდების პროექტი ცალკე კომისიას გარდაეცა.

**კიევი.** ნოვოსელიცის რკინის გზაზედ ლიანდაგს გადასცილდა საქონლის მატარებელი. გატეხილია ორი ვაგონი.

**ეკატერინბურგი.** უწყებათა თათბირმა აუცილებლად დაინახა პირველ რიგში გადასწყვიტოს საკითხი ტაგლინის რკინის გზის გაყვანისა.

### ხ ო ლ ე რ ა

**პეტერბურგი.** ხოლერით ავად გახდა 64, გარდაიცვალა 27, ავად არის 341, ქალაქის ახლო ადგილებში ავად გახდა 7.

ხოლერის შესახებ სააგენტო იტყობინება: ბალახნინოში ავად გახდა 14, გარდაიცვალა 4, პოლტავინაში ავად გახდა 294, გარდაიცვალა 96, ნოვოჩერკასკში ავად გახდა 73, გარდაიცვალა 38, ალექსანდროვკაში, დრუშევსკაში ავად გახდა 126, გარდაიცვალა 80, ტაგანროგში ავად გახდა 86, გარდაიცვალა 64, როსტოვში, დონის ნახიჩევანში ავად გახდა 144, გარდაიცვალა 36, აზოვში ავად გახდა 10, გარდაიცვალა 3. დონის ოლქში კვირის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა: ჩერკასისაში 240, გარდაიცვალა 106, როსტოვისაში: 265, გარდაიცვალა 206, ტაგანროგისაში 432, გარდაიცვალა 173, დონეცკისაში 485, გარდაიცვალა 207, პირველ დონეცკისაში 292, გარდაიცვალა 120, მეორე დონეცისაში 48, გარდაიცვალა 24, სალსკისაში 194, გარდაიცვალა 93, ხოპერისაში და მედვედიცკაში 26, გარდაიცვალა 10. ცარიცინში 6—15 ივლისამდე ავად გახდა 49, გარდაიცვალა 25, ატკარსკის მაზრაში ავად გახდა 1, ბერდინსკში ორი დღის განმავლობაში ავად გახდა 9, მოაწყობენ მეორე ხოლერიანთა ბარაკს. ვარნივში ორი შემთხვევა იყო. ყარსში ორ დღის განმავლობაში ავად გახდა 15, გარდაიცვალა 9, ყარსის ოლქში 10, გარდაიცვალა 4, სიზრანში ავად აღარავინ გამხდარა, გარდაიცვალა 1. სიზრანის მაზრაში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 1, ნიკოლაევში ქალაქის ბარაკში ადგილი აღარ არის. ხოლერიანთა მოსათავსებლად შეუდგნენ ყოფილ ყაზარმების შენობების მოწყობას. ქალაქში დღის განმავლობაში ავად გახდა 3, ქალაქის სოფლებში 11, გარდაიცვალა 3, პრონსკში გარდაიცვალა 5. სევასტოპოლში გაიხსნა საერობო ბარაკი, მოიწვიეს მედიკთა ჯგუფი. მცხოვრებნი ნდობით უყურებენ ექიმებს და დაუყოვნებლივ მიჰყავთ ავადმყოფი.

ტულა ხოლერის მხრით საშიშათ გამოაცხადეს, ამის გამო შესდგა საგუბერნიო სანიტარ აღმასრულებელ კომისის კრება და შეიმუშავეს დარიგება სამაზრო კომისიებისთვის. საგუბერნიო სამმართველომ შეადგინა სამი სანიტარულ ეპიდემიური ჯგუფი და ათი ფერშლების განყოფილებები. სასურველად იცნეს რომ უზრუნველჰყონ დახმარებით იმ ექიმების ცოლშვილი, ვინც ხოლერისგან მოკვდება. ერობა შუამდგომლობს ფულით დაეხმაროს წითელი ჯვარი. ხარკოვში მაღნების მწარმოებელთა კრებამ მოიწონა შუამდგომლობის პროექტი, რომ ებრაელი ფერშლებს და ებრაელ ფერშალ ქალებს ნება მისცენ მონაწილეობისა ხოლერასთან ბრძოლაში ტაშკენტში ორი დღის განმავლობაში ავად გახდა 3.

## ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **თავ. ჩერქეზიშვილის გარდაცვალების გამო.** გუშინ, 16 ივლისს ქალაქის საბჭოს დარბაზში გადახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულ ვ. ნ. ჩერქეზიშვილის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ: ნამესტნიკის თანაშემწე სენატორი ვატაცი, ქალაქის გამგეობის წევრნი, ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურენი, პრესისა, ვაჭრებისა, სამღვდელოებისა, სხვა საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენელნი და გარეშე ხალხი. პანაშვიდის გათავების შემდეგ მოკლე სიტყვით მიმართა ა. ი. ხატისოვს ბათუმის ქალაქის მოურავმა თავ. ანდრონიკაშვილმა და ბათუმის თვითმმართველობის სახელით თანაგრძნობა გამოაცხადა ვ. ნ. ჩერქეზიშვილის გარდაცვალების გამო. ალ. ი. ხატისოვმა მოკლედ დაახასიათა განსვენებული, როგორც ადამიანი და საზოგადო მოღვაწე და მადლობა გადაუხადა ყველა იქ დამსწრეთ, აგრეთვე იმას, ვინც სიტყვიერად თუ წერილობით თანაგრძნობა გამოუცხადეს ტფილისის პატიოსან მუშაკის დაკარგვის გამო.

დღეს ქალაქის საბჭოს დარბაზში ბ-ნ ლევან მ. მულაშვილის თაოსნობით ქალაქის მოიჯარადრეთა კრება გაიმართება. კრება მსჯელობას იქონიებს იმის შესახებ, თუ რა მონაწილეობა მიიღონ თავ. ჩერქეზიშვილის დაკრძალვაში.

გუშინ საგანგებო კრება ჰქონდა ქართველთა შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის წევრთ. კრებამ დაადგინა 1) თანაგრძნობა გამოუცხადოს განსვენებულ თავ. ჩერქეზიშვილის ოჯახობას, 2) დაესწროს როგორც პანაშვიდებსა, ისე დასაფლავებას და 3) გვირგვინის მაგივრად გადასდოს 50 მან. თავ. ჩერქეზიშვილის სოფ. ჩაილურში განსვენებულის სახელზე სახალხო ბიბლიოთეკის დასაარსებლად.

ელისაბედისა და მილიუტინის ქუჩაზე თავ. ჩერქეზიშვილის გარდაცვალების გამო, რომლის ცხედარიც ამ უბანში ასვენია, ეტლებისა და ურმების სიარული აღკრძალულია.

15 ივლისს საღამოს რვა საათზედ გაიმართა ქალაქის საბჭოს დარბაზში ქალაქის გამგეობის მიერ მიწვეული კერძო თათბირი, რომელსაც დაესწრნენ წარმომადგენლები ქალაქის თვითმართველობისა, ვაჭართა საზოგადოებისა, თავადაზნაურობისა, პრესსისა და სხვ. კრებამ ფეხზედ წამოდგომით პატივი სცა განსვენებულ თ. ვას. ნიკ. ჩერქეზიშვილის ხსოვნას. ქალაქის მოურავის მოადგილემ ხატისოვმა გააცნო დამსწრე საზოგადოებას ის ზომები, რომლებიც მიიღო ქალაქის გამგეობამ განსვენებულის პატივისაცემად ჩვენს გაზეთში ეს უკვე მოყვანილი იყო. კრებაზედ ვაჭართა საზოგადოების მამასახლისმა პილოვმა განაცხადა, რომ მათ გადასწყვიტეს განსვენებულის სახელობაზე დაარსონ ორი სტიპენდია, ერთი კომერციულ სასწავლებელში და მეორე სავაჭრო სკოლაში.

✦ **წყალდიდობა განჯაში.** როგორც დეპეშათა სააგენტო იუწყება განჯაში მოვარდა მდინარე წყალი, რომელმაც 30 კაცი და 300 სული საქონელი დაარჩო.

✦ **ექიმ ალამალოვის მოკვლა.** გუშინ წინ ტფ. მაზრის სოფელ შინდისსა და კოჯორს შუა პოლიციამ შეიპყრო ფერშალი მარტიროსიანცი თავის ცოლითა და ცოლის დით. პოლიცია დარწმუნებულია, რომ მათი მოკლულია ექიმი ალამალოვი.

✦ **ხოლერა მცხეთაში.** როგორც მცხეთიდან გვატყობინებენ, უკანასკნელ სამს დღეში ხოლერით ავად გამხდარა სამი კაცი, ორი უკვე მიცვალებულა. მკვდარა. მათ შორის მემამულე პაღიკო გიდევანიშვილი.

✦ **ხოლერა დუშეთში** როგორც გვწერენ, 13 ივლისს ტფ. გუბერნატორს მოუწვევია დუშეთში ადგილობრივ ქალაქის რწმუნებულთა საგანგებო კრება ხოლერის წინააღმდეგ ზომების შესამუშავებლად. კრებას დაწვრილებით აღუნუსხავს ყველა ზომები და სანიტარებისთვის გადაუცია სისრულეში მოსაყვანად. სხვათა შორის ქალაქის გარედ უბანში უნდა გაკეთდეს ხოლერიანთა ბარაკი.

✦ **სეტყვის შედეგი.** როგორც გვატყობინებენ, 3 ივლისის სეტყვას ძალზე დაუზარალებია გორის მაზრის სოფ. ბერბუკი და ძევერა.

✦ **ხოლერიანთა რიცხვი.** სასანიტარო — სამკურნალო ინსპექტორის ცნობით, 14 ივლისს დილის 9 საათიდან 16 ივლისის დილის 9 საათამდე ტფილისში ხოლერით ავად გახდა ორი კაცი, ხოლერის ნიშნით—1. ხოლერიანთა ბარაკში იყო—77, მიემატა—2, მორჩა და გამოეწერა—8, მოკვდა—1, დარჩა 70 კაცი.

✦ **ჰაერში ფრენა.** ჰაერში ფრენის კიეველი საზოგადოების პილოტი ინჟინერი ფ. ლ. გეინე აპირობს ამ ზაფხულის და შემოდგომაზე ტფილისში რამდენჯერმე გაფრინ- ბლერიოს ჰაეროპლანზედ.

✦ **ნიაღვარი და თოვლი ...რიაში.** სეტყვასა და ნიაღვარს ... ზღვის ნაპირებზე ძალიან დაუზა... ლებია ნათესი და ბაღები გაუ... ჰებია. საქონელი დაღუპულა. ...რალი 20.000 მანეთამდეა. მ... სები საზარელ სურათს აგვიწე... ისინი თურმე ამ დროს მთებში ... ნენ და აძოვებდნენ. დილის 7 ... ათიდან წამოვიდა კოკისპირ... წვიმა, რომელსაც საღამოთი მო... სეტყვა, რომელიც 7—8 საათი გრძელდა. ქათმის კვერცხის ოდ... ისროდა. სეტყვას მოჰყვა თო... და მეორე დღის საღამომდის არ ... დულა. მწყემსებმა საქონელი მ... ტოვეს და გამოქვაბულებში შე... რეს თავი. ორი დღე უჭმელ-უს... ლნი იყვნენ. ბოლოს ძლიერ გა... ღვიეს ორ არშინზედ დადებუ... თოვლი. საქონელი ჯერაც კი ... შეუკრებიათ.

✦ **ხმები ნამესტნიკის გადაყ... ნის შესახებ.** ხმები ნამესტნიკის დაყვანის შესახებ არა მართლდე... პეტერბურგში ყოფნის დროს, ი... წარადგინა კავკასიაში რეფორმ... პროექტების მთელი რიგი, რომ... ბსაც განიხილავენ ნამესტნიკის მო... დგილის საპელმწიფო საბჭოს წ... რის ნიკოლსკის მონაწილეობით.

✦ **ხოლერა.** პოლიციის ცნ... ბით, 15 ივლისს, ტფილისში ხ... ლერით ავად გახდნენ: 1) სოფ... ბატნურაშვილი, 2) მატრონა ... ლოხოვისა, 3) ისაკ ახალკაცი (გა... დაიცვალა), 4) მანუშაკ კარაპეტ... ვისა, 5) სალომე ამირაკოვისა, ... ევდოკი სტარიგინისა (გარდაიც... ლა), 7) სტეფანიდა მაიოროვისა ... 8) ალექსანდრე ხარაბაშვილი. ავა... მყოფთა ბინებს შესაფერი დეზ... ფექცია უყვეს.

✦ **თავ-ს მოკვლის განზრახ...** 14 ივლისს, სიმთვრალის დროს ... ვის მოკვლის განზრახვით უნტ... ოფიცერმა ივანე კოლესნიკო... კარბოლის სიმჟავე დალია. მოწ... ლული მიხეილის საავადმყოფო... წაიყვანეს, სადაც სამკურნალო დ... ხმარება აღმოუჩინეს და სახლში გ... უშვეს.

## ბიოლოგიური შენიშვნები

XI*).

ბუნებაში ორ გვარ გამრავლებას აქვს ადგილი: სქესობრივს და არა სქესობრივს. როგორც მეცნიერნი გვარწმუნებენ თავდაპირველად დედამიწის მცხოვრებთ შეადგენდნენ სულ პაწაწა ერთ უჯრედიანი ორგანიზმები. როგორც ეხლა, ისე მაშინ ეს ორგანიზმები მრავლდებოდნენ უქსესო გაყოფით, შემდეგში, დროთა განმავლობაში, ორგანიზმები თანდათან ვითარდებოდნენ, იცვლიდნენ ფორმას, სრულდებოდნენ, ამასთანავე იცვლებოდა მათი გამრავლების ფორმაც. გაყოფას მოჰყოლია განახლება, განახლებას კონიუგაცია, კონიუგაციას სქესობრივი გამრავლება. იმ დროს თუ დედამიწა სავსე იყო პაწაწა ორგანიზმებით, ეხლა ბევრია დიდი ორგანიზმებიც, იმ დროს ორგანიზმები თუ მრავლდებოდნენ უსქესო გაყოფით, ეხლა მრავლდებიან უსქესო და სქესობრივ გამრავლებითაც. ძნელია იმის თქმა, რომელ გამრავლებას აქვს უპირატესობა ბუნებაში, სქესობრივს თუ უსქესოს. უბრალო თვალით ჩვენ ვამჩნევთ მხოლოდ დიდ ორგანიზმებს, რაიცა შეეხება პაწაწა ორგანიზმებს, იმათ შეუიარაღებლად ვერ ვხედავთ, ეს კია რომ მათი რიცხვი აუარებელია. სქესობრივ გამრავლებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სპეციალურ სქესობრივ ორგანოებს. როგორც თვით ორგანიზმები, ისე მათი გამამრავლებელი ორგანოები ორნაირია: მამრობითი და მდედრობითი. მამრობით ორგანოებში მოთავსებულია სპერმატოზოიდები ანუ ჩვენებურად ცხოველა (ЖИВЧИКЪ), მდედრობით ორგანოებში—კვერცხები ანუ ჩანასახი (зародышевый) უჯრედები. სქესობრივი გამრავლება სხვა და სხვანაირია. სანამ ამ გამრავლების შესწავლას შეუდგებოდეთ, საჭიროდა ვთვლით გავაცნოთ მკითხველს სპერმატ-ზოიდების აგებულება და მოქმედება. უამისოდ ძნელია იმის გაგება, თუ როგორ ხდება განაყოფიერება ცხოველთა შუა.

სპერმატოზოიდები სხვა და სხვა ფორმის და აგებულებისანი არიან, საზოგადოდ ყოველივე მოდგმის ორგანიზმს თავისებური სპერმატოზოიდი აქვს. ყოველივე სპერმატოზოიდი შესდგება ორ უმთავრეს ნაწილისაგან. ერთი თავია და მეორე კუდი. ზოგიერთ სპერმატოზოიდს შუა ნაწილიცა აქვს. ამ შუა ნაწილს ეძახიან კისერს. როგორც ვიცით, ადამიანი ბუნების მეფედ ითვლება, ის ყველა ცხოველებზე უფრო მაღლა დგას, სხვა ცხოველებთან შედარებით, უფრო დასრულებულია, რთული. ამის გამო მისი თესლიც უფრო რთულია. გარდა თავისა, კისრისა და კუდისა, მისს სპერმატოზოიდს აბია „კუდის ბოლო“, ტანზე ჩაყოლებული აქვს თხელი ძაფი. ეს არის ღერძის ძაფი (осевая нить.) როგორც სჩანს, კუდის ბოლო ამ ძაფის გაგრძელება ყოფილა. ზოგიერთ შემთხვევაში ღერძის ძაფი სწორია, ზოგიერთ დაგრესილი. ზოგიერთ სპერმატოზოიდს თავზე აკრავს „მჭრეტავი ორგანო“.

მაშასადამე, როგორც სჩანს, სპერმატოზოიდი რთული აგებულებისა ყოფილა. რა საჭიროა მისთვის ეს სირთულე? ნუ თუ უფრო ხელსაყრელი არ იქნებოდა, მარტივი აგებულებისა ყოფილიყო? ალბად არა, თორემ ბუნება რათ შეიწუხებდა თავს? იმან კარგად იცის, სად და რაა საჭირო. ვის და რა მოუხდება. ამისათვის ის არა ძუნწობს და უხვად აკმაყოფილებს ყოველივე არსებობის მოთხოვნილებას, არსებათა რიცხვი აუარებელია. ყოველივე არსება თავისებურად აღწევს თავის სიცოცხლის მიზანს, თავისებურად მოქმედობს, შრომობს და სხ. არსებანი სხვა და სხვაგვარისანი არიან, მათი აგებულებაც სხვა და სხვანაირია. ამ სხვა და სხვაობის მიზეზი უნდა იყოს, რომ სპერმატოზოიდებიც სხვა და სხვანაირია. ისინიც ხომ ხომ არსებანი არიან, ისინიც ხომ ცხოვრობენ და თავისებურად აღწევენ თავიანთ მიზანს!

რა მოხელეა სპერმატოზოიდი, რაა მისი დანიშნულება? სპერმატოზოიდის დანიშნულებას შეადგენს განაყოფიერება. ამ მიზნის მისაღწევად ის ბევრსა შრომობს, გამოვა თუ არა სათესლედან, იწყებს კვერცხის ძებნას როგორც კი დაინახავს, მიეშურება მისკენ, უახლოვდება, უეროდება, ძვრება მისს სხეულში, აქ ცოტათი ისვენებს და მერსე ისევ განაგრძობს თავის მუშაობას. ყოველივე ეს, რასაკვირველია, ენით ადვილი სათქმელია, მაგრამ, საქმით კი, როგორც დაკვირვებით გვიჩვენებენ, მეტად რთული რამაა. რას არ განიცდის ამ მუშაობის დროს სპერმატოზოიდი? ხან წაიბორძიკებს, ხან წაიქცევა, ხან რაღაც დაბრკოლება გადაეღობება წინ, ხან ხელიდან გამოუსხლტება კვერცხი, ხან ტოლ ამხანაგნი მიატოვებენ, უმტყუნებენ და სხ. რა საჭიროა სპერმატოზოიდისათვის მისი სხვა და სხვა ნაწილები? სპერმატოზოიდი მოძრაობს კუდით. კუდით ის ადვილად გადადის ერთი ადგილიდან მეორეზე, მუდამ სინსილობს, ტრიალებს, კუდით ამოძრავებს მთელ თავის ტანს, კუდის ტრიალით ძალას აძლევს თავს და არჭობს კვერცხის გარსში, ხვრეტს ამ გარსს და შედის შიგნით. კუდი რომ არა, უეჭველია, სპერმატოზოიდი ბევრს ვერ მიაღწევდა, შეიძლება ვერც კი დაძრულიყო ერთი ადგილიდან და თუ დაიძროდა, სისწრაფე მაინც არ ექნებოდა.

ეხლა ვნახოთ, როგორ იცვლება სპერმატოზოიდი, როდესაც ის შედის კვერცხის გულში?

როდესაც სპერმატოზოიდი შედის მდედრობით სქესურ ორგანოში, ეს უკანასკნელი მოძრავდება. საკვერცხედან გამოდიან კვერცხები და ეგებებიან სპერმატოზოიდს. სპერმატოზოდები თავის მხრით დაინახავენ თუ არა კვერცხს, გაექანებიან იმისკენ და შემოეხვევიან გარშემო. საზოგადოდ, ყველა სპერმატოზოიდი ცდილობს კვერცხის გულში შესვლას; მაგრამ ბევრს ცდა ცდათ ურჩება, ბოლოს და ბოლოს ყველას ასწრებს ერთი, რომელიც ხვრეტს გარსს და შედის შიგნით. როგორც კი სპერმატოზოიდი შედის შიგნით, კვერცხის პროტოპლაზმა მაშინვე ტოკდება, იწევს წინ, ხვდება სპერმატოზოიდს და მერმე ისევ ბრუნდება თავის ალაგას. ამ დროსვე სპერმატოზოიდის თავი იღლინთება, დიდდება და იქცევა „თესლის ბირთვად“. ამ რიგად კვერცხში თავსდება ორი ბირთვი: ერთი კვერცხის და მეორე თესლის. ტოტა ხნის შემდეგ ორივე ესენი მოძრავდებიან, ხვდებიან ერთი მეორეს, ერთდებიან და აჩენენ ნასახს. ჩანასახიდან შემდეგში გამოდის ახალი ორგანიზმი.

რას განიცდის ამ შეერთების დროს სპერმატოზოიდის კუდი? შეძვრება თუ არა სპერმატოზოიდი კვერცხში, კუდი ჩერდება, ნელ-ნელა იხსნება უჯრედის წვენში, ირევა და იქცევა უჯრედის საკვებ მასალად.

ამ რიგად, როგორც სჩანს, განაყოფიერება უჯრედთა ორ ბირთვის შეერთების შემდეგი ყოფილა, ამ შეერთებას შესძლებია ახალი არსების გაჩენა—ჩვენ განვიხილეთ სპერმატოზოიდის თავის და კუდის მნიშვნელობა დაგვრჩა კისერი და ღერძის ძაფი.

მეცნიერებას ჯერ ვერ გამოუმკვლევია, რა მნიშვნელობისაა ღერძის ძაფი და ამისთვის ჩვენც ვერას ვიტყვით ამაზე, რაც შეეხება სპერმატოზოიდის კისერს, ამაზედაც მეცნიერნი ბევრს ფიქრობდნენ, ბევრს იკვლევდნენ, მაგრამ ბოლო ხანამდე ვერას გამხდარიყვნენ—მე 90 წლ. ვირცბურგის უნივერსიტეტის პროფ. ბოვერმა დასტამბა შრომა Das Problemder Befruchtung რომელმაც სულ მალე დიდი სახელი მოუხვეჭა ნიჭიერ ავტორს. ბოვერის შრომა იმდენად საინტერესოა, რომ საჭიროდ ვთვლით, მოკლედ მაინც გავაცნოთ მკითხველს მისი შინაარსი.

როგორც ყველამ ვიცით გაუნაყოფიერებული კვერცხი ძალიან სუსტი არსებაა, იმას არ შეუძლია არც ზრდა, გამრავლება და არც ახალი ორგანიზმის გაჩენა. განაყოფიერებისათვის საჭიროა, კვერცხი შეუერთდეს სპერმატოზოიდს. შეერთების შემდეგ ის იყოფა, აჩენს უჯრედთა ჯგუფს, რომლითაგანაც წარმოსდგება რთული ბევრ-უჯრედიანი ორგანიზმი. ეს ასეა და, მაშასადამე, რა ნაკლი აქვს განუყოფიერებელ კვერცხს? როგორ იშორებს ნაკლს? რა შუაშია ამ შემთხვევაში სპერმატოზოიდი? პასუხის მისაცემლად მოვიგონოთ კარიოკინეტური გაყოფა, რომელზედაც ჩვენ გვქონდა ლაპარაკი წინა წ...რილში. კარიოკინეტური გაყოფ... განხილვა, უეჭველია, გაგვიადვილე... საკითხს.

კარიოკინეტური გაყოფის დრო... უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ც... ტრო-ზომს. გაუნაყოფიერებულ... კვერცხი მოკლებულია ცენტრო... ზომს, აი ამ გვარ კვერცხს, ბოვ... რის გამოკვლევით, სპერმატოზო... დის საშუალებით უჩნდება ცენტრო... ზომი. საზოგადოდ ცენტროზომი ... აქვს სპერმატოზოიდს, სანამ თავ... სუფალია, ის არც საჭიროებს იმა... მაგრამ შედის თუ არა კვერცხშ... მისი საჭიროება ცხადია და ის... უჩნდება კისერში. ამ რიგად ცხად... სპერმატოზოიდის კისერს დი... მნიშვნელობა ჰქონია განაყოფიერ... ბის დროს: კისრის დახმარები... უჩნდება ცენტროზომი განუყოფი... რებულ კვერცხს. „შეიძლება, ... ბობს ბოვერი, განუყოფიერებე... კვერცხს კიდევაც ჰქონდეს სად... ცენტროზომი, მაგრამ ეს ცენტრო... ზომი დამალულია, შეუმჩნეველი ... მით აღმოსაჩენად საჭიროა რაი... ახალი ძალა. ეს ძალა სპერმატო... ზოიდშია და ჩნდება იმ დრო... როდესაც სპერმატოზოიდი შედ... კვერცხის გარსში“.

ესაა რაც ვიცით ჩვენ ცხოველთ... სქესობრივ გამრავლების შესახებ.

ეხლა გადავიდეთ მცენარეებზე... ბევრსა ჰგონია, ცხოველთა და მც... ნარეთა შუა დიდი განსხვავება არ... სო. პირველი შეხედვით ეს ვითო... და, სიმართლეს არ არის მოკლებუ... ლი. ცხოველი მოძრავია, მცენარ... უმოძრავო, ცხოველი ჰამს, სვამს... ინელებს, იცვლის ნივთიერება... მცენარეს ეს არ შეუძლია. ცხოვე... ლი სულიერია, მცენარე უსულ... მაგრამ ყოველივე ეს შეიძლება ით... ქვას პირველი შეხედვით. დავუ...

*) იხ. „სახ. გაზ.“ 54.

✦ 14 ივლისს ტფილისში მაძებარ პოლიციის აგენტებმა ქუთაისის მაძებარ პოლიციის დახმარებით შეიპყრეს ოზურგეთის მაზრის მცხოვრები სიმონ ჯაყელი, რომელსაც ქუთაისში ბოროტმოქმედების ჩადენა ბრალდება. შეპყრობილს ეტაპით გაუგზავნიან ქუთაისის პოლიცმეისტერს.

✦ 15 ივლისს მიხეილ ალისტრატოვმა თავის სახლში სიმთვრალის დროს დანით დასჭრა მარჯვენა ხელში თავისი საყვარელი ნინა მიროშნიკოვი. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს; ალისტრატოვი შეიპყრეს.

✦ 15 ივლისს ქალაქის სხვა და სხვა უბანში საერთო ჩხრეკის დროს პოლიციამ 14 უპასპორტო შეიპყრო.

✦ 15 ივლისს პოლიციამ ტფილისში სამი კაცი შეიპყრო მათხოვრობისთვის. შეპყრობილნი თავიანთ სამშობლოში გადაასახლეს.

✦ მდინარე ჩხერი მოდიდებულა და 40 დღის ყანები სოფ. გერგეთისა სრულიად წაუხდენია.

✦ ბორჩალოს მაზრის სოფ. აგრალში ორს ბავშს მაქრო კეიმანოვს, 13 წლისა, და ეგგენი ბალახანოვს, 12 წლისა, მოუტყუებიათ მიყრუებულ ადგილას ეგგენის ზაზოვის 5 წლის ქალი ზარა და გაუუპატიურებია.

✦ მცხეთაში მცხოვრები ალექსანდრე გიგაური მტკვარში ბანაობის დროს წყალს წაუღია და დამხრჩალა. დამხრჩვალის გვამი ტფილისის ახლო იპოვეს.

✦ კავკავის ოლქის სოფ. გიზელის მცხოვრები თევდორე და გაბაცი ტაროევები, როცა კავკავში მოდიოდნენ, დუშეთის მაზრის სოფ. სიონთან, ოთხმა შეიარაღებულმა კაცმა თურმე გაცარცვა. ავაზაკები დაიჭირეს და აღმოჩნდნენ აბრამა ჯორჯიკაშვილი, ღუღუშაური, კობა ჯორჯიკაშვილი და იაგორა ღუღუშაური.

## მეცხვარეთა კრების გამო

კვირას, 18 ივლისს ქ. სიღნაღში მოხდება მეცხვარეთა და საქონლის მომშენებელთა ამიერ კავკასიის საზოგადოების დამფუძნებელი კრება. სამინისტროსაგან უკვე დამტკიცებული წესდების პირველი მუხლის თანახმად, საზოგადოებას მიზნადა აქვს ხელი შეუწყოს ცხვრისა და სხვა საქონლის პატრონებს პირიან ფასებში გაასაღონ თავიანთი ნაწარმოები, რისთვისაც იგი: ა) მიიღებს ნაწარმოებს საზოგადო საწყობებში გასასყიდად, ბ) მიღებულ ნაწარმოებში გასცემს პატრონებზე ავანსებს, გ) თუ საჭირო იქნება, ამ ნაწარმოებს დააგირავებს ბანკებში, დ) საზოგადოების სახელით მოაწესრიგებს საწყობებში შემოტანილ ნაწარმოების ვაჭრობას, ე) მისცემს თავის წევრებს დარიგებას შესახებ ცხვრისა და სხვა საქონლის მოშენებისა, აღძრავს შუამდგომლობას სადაც ჯერ არს სანიტარულ ზომებისა, საქონლის გასატარებლად გზების დაგდებისა, საძოვრების სამართლიანად განაწილებისა და სხვა სასარგებლო დადგენილებათა შემოსაღებად.

როგორც მკითხველი ხედავს, განზრახული საზოგადოების მიზანი მეტად სიმპატიურია, მეტად ზედგამოჭრილია ჩვენი ქვეყნის დუხჭირ ცხოვრების საჭიროებაზე. ჩვენი სოფლის მეურნე, რომელ დარგსაც იგი ეკუთვნოდეს, ერთსა და იმავე დროს მწარმოებელიც არის და მომხმარებელიც და ორთავე მხრივ საწყალ ფურად არის გადაქცეული ჩარჩ-მოვაჭრე-მოვახშეთაგან. როგორც მწარმოებელი ის იძულებულია თავისი ნაწარმოები ჩალის ფასად გადასცეს ქვეყნის წურბელებს და როგორც მომხმარებელი—მამასისხლად შეიძინოს მათგანვე ცხოვრებისათვის უსაჭიროესი საგნები.

ასეთი მდგომარეობა ჩვენებურ მეცხვარეებისათვის გამონაკლისს არ შეადგენს, პირიქით ისინი უფრო მეტს გაჭირვებაში, მეტს ტანჯვასა და ვაი-ვაგლახში იმყოფებიან. ჩარჩებს იგინი უფრო გულუბრყვილო და ადვილ მოსატყუებლად მიაჩნიათ და აკი თავისიც გაჰყავთ: ატყუებენ, წონასა, ფასებსა და ანგარიშში. ამის დასამტკიცებლად საკმარისია მოვიყვანოთ ერთი მაგალითი, რომელიც შემთხვევით გამოაშკარავდა: თითო ფუთის ანგარიშში ჩარჩმა ორმოცდა შვიდ გირვანქიანით მიიწონა მატყლი მეცხვარისაგან მეცხვარეს ნავარაუდევი ჰქონდა მატყლის ნამდვილი წონა და ამის გამო ეჭვი დაებადა ჩარჩის მოქმედებაში. ფასების დაწევას ხომ ნულარ ვიტყვით! აბა რიღის ჩარჩი იქნება, რომ მაზანდად ნამდვილ ფასის ნახევარი არ გამოაცხადოს და ამ მხრივაც არ გააბრიყვოს ტეტია მეცხვარე. ამას იქნება ეს შეგნებულიც აქვს, გრძნობს თავის გაბრიყვებას, მაგრამ რა ქნას, როდესაც გაჭირვება ძალას ატანს, კარს უკაკუნებს და შველას-კი არსაიდან მოელის. მოდი და ბედს ნუ დაემორჩილება მარტო ადამიანი, თავისანაბარად მიტოვებული, მოძმეთაგან დახმარებას მოკლებული.

ევროპის განათლებულმა ხალხმა დიდი ხანია შეიგნო ცალკე მწარმოებლის უსაღსრობა და გამოიგონა საშუალება, კოოპერაცია, თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად; ეს არის ერთად ერთი გზა ცალკე მწარმოებელთა შეერთებისაკენ მიმავალი, საამხანაგო მოქმედებით უკეთეს ბედის მიმკვლევი. ამ გვარ კოოპერაციებით მოფენილია მთელი განათლებული ევროპა და ამერიკა, ამიტომ იქაურები კმაყოფილნი არიან თავის ბედისა.

ერთი ამ გვარივე საქმე უნდა განახორციელოს სიღნაღში მოწვეულმა კრებამ, სადაც შეიკრიბებიან მთის შვილნი, დიახაც მხნე და გამჭრიახნი, გამგონნი კეთილ აზრისა. ვფიქრობთ, ეს პირველი დამფუძნებელი კრება საჭირო თანხას შეაგროვებს საზოგადოების დასაარსებლად, რომელიც ახლო მომავალში დაიწყებს მოქმედებას. **ეგნატე ხრამელაშვილი.**

## პატარა ფელეტონი

### გადამლაშებული ტრფიალება

ინგლისის სახელ-განთქმული პოეტი ბაირონი ამბობს: „მამაკაცის ცხოვრებაში სიყვარული სიცოცხლის მხოლოდ ერთი ნაწილია, ქალისაში კი—სიცოცხლის მთელი შინაარსიო“.

ბაირონს თუ დაუჯერეთ, ჩვენ მწერალთა შორის ბევრნი არა ვაჟკაცებად, არამედ დედაკაცებად უნდა ჩავთვალოთ, რადგან მათი ჩანგი დღეს თითქმის სავსებით მხოლოდ ტრფიალების ჰანგზე ჰღერს.

ჩვენდა საბედნიეროდ უცხოელებმა ნაკლებად იციან ქართული ენა. კარგად რომ იცოდნენ და ჩვენი მწერლების ნაწერებს კითხულობდნენ, ჩვენ ქართველ მამაკაცებს, ისეთ ხალხად ჩაგვთვლიდნენ, რომელმაც პირდაპირი ბრძოლით ვერ მოიპოვა თავისუფლება და ამ ჟამად ძმობა-ერთობის, კონსტიტუციის, პოლიტიკური უფლების, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული არჩევნების შემოღებას მხოლოდ ქალთა და მათთან არშიყობის საშუალებით სცდილობს.

ფრანგები ამბობენ, ყველა დახლართულ საქმეთა სათავეში ქალი სდგას, და ამ ქალს უნდა მიაგნოთ. თუ გსურთ საქმის ვითარება გამოარკვიოთო.

ალბად ამიტომაც ჩვენ მწერლებს ჩვენი დახლართული ცხოვრების სათავეში ლამაზი ქალი ეგულებათ, და ახლა სულ იმასა სცდილობენ, ამ ქალს მიაგნონ და მასთან არშიყობის მეოხებით ჩვენი სავალალო მდგომარეობა გააუმჯობესონ.

შეყვარებული ადამიანი ნამდვილი ბავშვია. ერთ ბავშვს რკინის გზის სადგურზე დედა დაეკარგა თავ-მოყრილ ხალხში და გამწარებულმა ღრიალი მორთო. დამსწრენი გარს შემოერტყნენ და ამშვიდებდნენ ბავშვს: „ნუ სტირი, წამოგვყევი და გვიჩვენე, რომელია დედა შენი, აი ეს შავ-გვრემანი, ის ჭრელ-თვალა, თუ ე მანდ თეთრ-ყირმიზა ქალიო“.

„ალა, ალა,... დედა ჩემი... ის ქალია....რომელიც ყველასა სჯობიაო“, ტირილით მიუგო ბავშვმა თავის გულმტკივნეულ მესვეურთ.

მწარედ მტირალ ჩვენ მწერლებსაც რომ ვკითხოთ, რად სტირიან, გვიჩვენონ, რომელია მათთვის დაკარგული და სანატრელი საგანი, ძმობა, ერთობა, თავისუფლება, კონსტიტუცია, საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული-საარჩევნო უფლება, თუ სხვა რამე,—უეჭველად ტირილითვე გვიპასუხებენ: „არა არა, ჩვენი საყვარელი საგანი.... ქალია.... ლამაზი ქალი... რომელიცა ყველა ამაებსა სჯობიაო“.

ამას წინად ერთ წარმოდგენას დავესწარი. შეყვარებული ქალ-ვაჟი მთელი ერთი საათი ტკბილად ეკურკურებოდნენ ერთმანეთს თეატრის სცენაზე. ბოლოს როგორც იქნა და ასრულეს თავისი უზომო მტლაშა-მტლუში. ფარდა ჩამოუშვეს. ბუფეტისაკენ გავემართე და იქ ერთი ჩემი კარგი ნაცნობი ადამიანი დავინახე, რომელსაც მწარე დაღრეჯილობა ემჩნეოდა სახეზე. შემომჩივლა: კაცო, ეს შეყვარებული ქალ-ვაჟი ხომ ჩემ თვალ წინ მთელი ერთი საათი ეკურკურებოდნენ ერთმანერთს. მერე მე რა? რისთვის უნდა ვუცქირო, დრო დავკარგო და მათ არშიყობაში ფული ვაძლიოო?“

ჩვენ მწარედ დაღრეჯილ მკითხველებსაც სრული უფლება აქვთ შესჩივლონ ქართველ მწერლებს: „მეგობრებო, ვხედავთ, რომ შეყვარებულნი ხართ და დაუსრულებლად ეტრფიალებით თქვენ მზეთ-უნახავებს ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. მერე ჩვენ რა? რისთვის უნდა გიცქიროთ, დრო დავკარგოთ და ამ ჟურნალ-გაზეთებში ფული ვაძლიოთო?“.

**ილია ნაკაშიძე.**

## მოწერილი ამბები

**სოფ. მეჯვრისხევი.** (გორის მაზრა). მოძრაობამდე ეს სოფელი იმდენად განსხვავდებოდა თავის ინტელიგენციით თუ კულტურულ დაწესებულებებით, რომ ერთ ენამჭრელ მოსაგარაკეს „პატარა პარიზის“ სახელითაც კი მოუნათლავს იგი: შემდეგ რევოლუციამ თუ რეაქციამ ყველა ეს კულტურული დაწესებულებანი კი იმსხვერპლა და მათი სულის ჩამდგმელი ინტელიგენციის რიცხვიც საგრძნობლად შეამცირა. სოფლის წინ სვლა შეჩერებული იყო ეს ხუთი-ექვსი წლიწადი, ხოლო წრეულს სოფელს რადაც ძველებური სიცხოველე დაეტყო. რამდენადაც შესაძლებელი იყო ადგილობრივ მცირე რიცხოვან ინტელიგენციამ ასე თუ ისე ცოტა რამ მაინც გააკეთა. ასეთია მაგ., ბიბლიოტეკა სამკითხველოზე და სასოფლო ბანკის დაარსებაზე შუამდგომლობების აღძვრა, თუმცა ჯერ-ჯერობით არც ერთი და არც მეორე არ განხორციელებულა, რაც, რასაკვირველია არა მეჯვრისხევის ინტელიგენციის ბრალია, არამედ იმისი, რომ ჩვენში საზოგადოდ ყოველგვარ კულტურულ საქმეს ათასნაირი დამაბრკოლებელი მიზეზებს გამოუნახავენ ხოლმე სხვა და სხვა „ინსტანციებში“ გასაჭიანურებლად, ან სრულიად გადასაფუჩეჩებლად. მეოთხე თვეა რაც სასოფლო ბანკზე შუამდგომლობა აღიძრა ვისთანაც ჯერ არს და დღემდის პასუხი ვერ მიგვიღია. მეექვსე თვეა ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გახსნის ნებართვის აღება ვთხოვეთ წ. კ. გ. საზოგ. და დღემდის არც იქიდგან მიგვიღია პასუხი.

ამ ჟამათ კიდევ ადგილობრივი ინტელიგენცია საავარაკოთ ჩამოსულ ძალების დახმარებით წარმოდგენების დადგმას შეუდგა. პირველი წარმოდგენა გაიმართა კვირას, 11 ივლისს მომავალ ბიბლიოტეკა სამკითხველოს სასარგებლოდ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს პირველი წარმოდგენაა მეჯვრისხევში მოძრაობის შემდეგ.

გაზაფხულის კარგმა დარებმა მინდვრის მოსავალს ხელი ძრიელ შეუწყო. როგორც გარდმოგვცეს, გლეხობა კმაყოფილია პურის და ქერის მოსავლით. სიმინდს და ბაღ-ვენახობასაც კარგი პირი უჩანს, თუ რამე მოულოდნელმა შემთხვევამ არ დააზიანა. ხილეულობის მოსავალი კი წრეულს ჩვენს სოფელში ნაკლებია და რაც არის იმასაც გასავალი დაუკარგა ხოლერამ.

ხოლერა კარზეა მომდგარი. ეს ამოდენა რაიონი უექიმოთაა, რაც სოფლის სრული უპატრონობის დამახასიათებელია. **X**

—

**დ. ხონი.** ბაზრის რწმუნებულები თავიანთი ნებით სამსახურიდან გადადგნენ. მათი ადგილი კანდიდატებმა დაიჭირეს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელთა ხელში ბაზარი უპატრონოთაა. ქუჩები დაუგველია და ბოგირები, ხიდები დამტვრეული. თეატრის წინ ქუჩა მეტად ანტისანიტარულ მდგომარეობაშია. ყოველ-გვარი უწმინდურება ქუჩაზე ყრია. სასურველია ამას ბაზრის რწმუნებულები თუ არა, სანიტარულმა კომისიამ მაინც მიაქციოს ყურადღება და ქუჩა გაწმინდოს უწმინდურებისაგან. თორემ ხოლერა, ეს საშინელი სენი, ჩვენი სტუმარიც შეიქნება.

ამ სამი წლის წინად ხონის ბაზრის ქუჩებზე ქვა ფენილი დააგეს დუქნის პატრონების ხარჯით. ქვა-ფენილის დასაგები ფული კი როგორც დუქნის პატრონებმა, ისე ხონის რაიონში მცხოვრებლებმაც გადაიხადეს. რამდენი ფული მოიკრიბა ან რამდენი დაიხარჯა ქვა-ფენილის დაგებაზე, ეს კი არავინ იცის. საზოგადოებაში ხმებია, რაც დაიხარჯა ქვა-ფენილის მოგებაზე, გაცილებით იმაზე მეტი მოიკრიბაო. მხოლოდ ეს მეტი კი ერთმა ვაჟბატონმა „ჩაიმასქნაო“. ბაზრის ბოქაულს გრიგოლ ოქროპირიძეს ამ ჟამად გუბერნატორისაგან გამოგზავნილი კაცი რევიზიას უკეთებს. რევიზია 4-5 დღე გრძელდება. რევიზიის მიზეზათ ასახელებენ იმ ხმებს, რომელიც რევიზიამდე საზოგადოებაში იყო და რომელიც ბოლოს გუბერნატორის ყურამდინაც მისულა—ქუთაისის მაზრის უფროსი უარსში პოლიცმეისტრად გადაუყვანიათ. ის ზურნითა და მრავალი ბოქაულების თანხლებით ჩამოვიდა ხონში 8 ამ თვეს და აქ ბოქაულ ფადავას ეზოში შეკრებილ ხალხს გამოეთხოვა.

არ იქმნა და ერთხელაც ვერ მოეწყო ხონში ჟურნალ-გაზეთების აგენტურა. ერთხელაც ვერ გედირსენით იმ ბედნიერებას, რომ გაზეთები სისტემატიურად ერთ დროს მოდიოდეს. აქ გაზეთებს გზავნის სამტრედიის აგენტი. ეს ვაჟბატონი ხან დილის მაგიერ სადამოს გზავნის გაზეთებს ხან მეორე დღეს და ხანაც მესამე დღეს. მაგალითად კვირეული გაზეთების მესამე დღეს გამოგზავნა ხშირია. დღიურების კი მეორე დღეს. ასე უსისტემოთ გაზეთების გზავნა თვით გაზეთების გავრცელების საქმეს ვნებს. კარგი იქნება წ. გ. ს. სხვასთან დაიჭერდეს საქმეს.

**აქილლეხი.**

—

**ქ. გორი.** იმიტაციის საშინელი მომხრენი ვართ გორელები. თუ სხვამ გააკეთა რამე ჩვენზე „დაბალმა“, გვწყინს, შური გვეძრება. თუ იმათ გააკეთეს, რატომ ჩვენ არ უნდა გავაკეთოთ, ჩვენ მათზე ნაკლები ბიჭები ვართ თუ? და „ვაკეთებთ“. ნამეტნავად თვალში გვეჩხირება ხოხი. დასწყევლოს ღმერთმა, თითქოს ჩვენ გასაბრაზებლად ყველაფერი კულტურული ტფილისის შემდეგ იქ იჩენს ხოლმე თავს. ღვთის წინაშე ხოხს არც თუ ჩვენ ჩამოუვარდებით, პირიქით საქმის „გახარხვაში“ ვერავინ შეგვედრება, მოვიწადინებთ რამეს თუ არა, უმალ „ვაკეთებთ“, მაგრამ ჩვენი ერთი უბედურობა იმაში მდგომარეობს, რომ „ხოხისებური“ ენერგია ვერ შეგვწევს. საქმის დაწყება კი ვიცით, მაგრამ მისი გაგრძელებისა კი რა მოგახსენოთ. სურვილი კი გვაქვს, დიდი სურვილიც, მაგრამ საქმის უნარს კი მოგვაკლო ბედმა. ამიტომ საქმეს ვიწყებთ ყველაფერი უმალ გვიკვდება. გვქონდა სახალხო უნივერსიტეტი და მოგვიკვდა, აღარც კი არავის ახსოვს; გვქონდა სახალხო სამკითხველო, იმასაც ჩაიღულის წყალი დალია, გვქონდა საავადმყოფო, მაგრამ ისიც სამიკიტნოდ და სატრფიალო სახლად გადავაქციეთ და სიძველეთა შემნახველს ჩავაბარეთ, ელექტრონით გავინათეთ კარ მიდამოები, მაგრამ ვაი ამ განათებას, სახალხო თეატრის შენობის საძირკველი უკვე ჩავყარეთ, მაგრამ ჩვენმა გამოუცდელობამ და ბნელი ძალების ბოროტმა ენამ მისი ისტორიის ჩარხი უკუღმა შემოატრიალა და მურტალმა ხელმა თავისი ნიშანი დასდო. გავხსენით საურთიერთო საკრედიტო დაწესებულება, მაგრამ მას ხეირიანადაც არ ამოუსუნთქია და, როგორც ხმა დადის, ოცი ათასამდე ფული გაუფლანგავთ მის მოჭირისუფლეთ. გვქონდა სახალხო სახლის მზგავსი რამ, სადაც იაფ ფასიანი წარმოდგენები იმართებოდა და ღარიბ ხალხს შეძლება ჰქონდა გონებისთვის რამე საზრდო მიეწოდებინა, ესთეტიურად დატკბარიყო, მაგრამ იქაც პირველობაზე ანტაგონიზმმა წამოჰყო თავი, ერთი ჭირით და ლხინით შეერთებული დასი დაირღვა და რის ვაი ვაგლახით მოგვარებული სახალხო თეატრა დღეს უკანასკნელ დღეშია, არავინ არის კი იმისთანა ადამიანი, რომელმაც ყურს იღოს მისი დაღადი, თავის გულს დაუახლოვოს და სიცოცხლის ბალზამით ასხუროს იგი, რომ არ მოკვდეს და მასთან ერთად სული არ განუტევოს იმ დიადმა საქმემ, იმ სიმპატიურმა მიზანმა, რომელსაც აგერ თითქმის ორი წლიწადია ემსახურებოდა. სამაგიეროდ გვაქვს (ვიმედოვნებთ არც მოკვდება) ორი სამი საბილიარდო, სადაც ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა დამპალი ატმოსფერით იწამლება, ასამდე სამიკიტნო, სადაც ჩვენი ინტელიგენციის უმრავლესობა დღე-ღამ ბახუსს მსხვერპლსა სწირავს და ალკოგოლით იშხამება, გვაქვს რამდენიმე ლუდხანა. ფარული საბანქოვო თასხები და მრავ. სხვ. და სანამ ყველა ეს ცოცხალი იქმნება, გორელი, ეს ნამდვილი „გორელი“, უტიბარს არ გაიტეხს და თამამად წამოიძახებს ჭირშიც, ლხინშიაც: „ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერთი?“...

როგორც მკითხველს გაზეთებიდანაც ესმოდება, ჯერ ისევ იანვარში გვეწვია წვრილი კრედიტის ინსპექტორი კ—ნი დავიდოვი, გაგვაცნო წვრილ კრედიტის წესდება და აღგვითქვა სამი თვის შემდეგ ხელ მეორედ სტუმრება და საქმის მოწყობა, მაგრამ გავიდა

---

კვირდეთ მცენარეთ ცხოვრებას და ადვილად დავრწმუნდებით, რომ მცენარეთა და ცხოველთა შუა დიდი განსხვავება არა ყოფილა. ცხოველისათვის საჭიროა სითბო, საზრდო, წყალი და ჰაერი; არც მცენარეს შეუძლიან უამისოთ ცხოვრება. ცხოველი სუნთქავს, ე. ი. ითვისებს მჟავბადს და ამოისუნთქავს ნახშირბადს, მაგრამ მცენარეც ხომ სუნთქავს; ისით ითვისებს მჟავბადს და ამოისუნთქავს ნაშირბადს. ცხოველი სვამს, სჭამს, არც მცენარეს შეუძლიან უსმელად და უჭმელად განაგრძოს თავის სიცოცხლე. ცხოველი შესდგება უჯრედებისაგან, მცენარეც ხომ უჯრედებისაგან არის შემდგარი, ცხოველი იზრდება, მცენარეც იზრდება, ცხოველი ჰშობავს შვილებს, მცენარეც თესლით აჩენს ახალ მცენარეებს. ცხოველი კვდება, მცენარეც კვდება. ნაყოფიერდება ცხოველი, ნაყოფიერდება მცენარეც. ერთი სიტყვით ბიოლოგიურად ცხოველთა და მცენარეთა შუა არავითარი განსხვავება არარის. ორივენი ერთ და იმავეს განიცდიან, ბუნების კანონი ყველასათვის ერთ გვარია.

მაშ ვნახოთ, როგორ ნაყოფიერდება მცენარე. მივუბრუნდეთ ისევ მაგალითებს. წყალში სცხოვრობს ერთგვარი ბალახი, რომელსაც სახელად უწოდებენ ფუკუსს. ფუკუსი დიდი ტანისაა, შტოები აქვს ორნითას მსგავსი, აჭრელებულია წინწკლებით. ყოველივე წინწკალი ორმოა, რომელშიაც მოთავსებულია გასამრავლებელი მდედრობითი ორგანოები. ეს ორგანოები მრგვალი ტანისანი არიან და შემოხვეული აქვთ გარსი, როდესაც ჩვენ დავაკვირდებით მიკროსკოპით ამ ორგანოებს, ვხედავთ, რომ მათი პროტოპლაზმა ჩვენ თვალწინ რვა პაწაწა ბურთებად ირღვევა. ეს ბურთები კვერცხებია. გასკდება თუ არა გარსი, ბურთები გამოდიან, სცურავენ წყალში დაეძებენ მამრობით ორგანოებს, ფუკუსი ორსახლის მცენარეა. ეს სიტყვა ნიშნავს იმას, რომ ზოგიერთი ფუკუსი მდედრობითი სქესისაა, ზოგიერთი მამრობითი. მდედრობით სქესის ფუკუსს აქვს მდედრობითი ორგანოები, რომელით სახელად უწოდებენ „ოოგონია“, მამრობით—მამრობითი ორგანოები აქვს და ჰქვიან „არტერიდია“.

ავიღოთ ეხლა მამრობითი სქესის ფუკუსი. გავუსინჯოთ ორმო. ორმოში შევნიშნავთ პაწაწა ძაფებს. ძაფებს ბოლოზე აკრავთ პაწაწა უჯრედები. ეს უჯრედები ანტერიდებია. შორდებიან ძაფს, ამოდიან ზემოდ, სკდებიან და ყრიან მრავალ სპერმატოზოიდებს. სპერმატოზოიდები მაშინვე იწყებენ ცურვას, ეძებენ ოოგონიებს, უერთდებიან და ანაყოფიერებენ.

მაშასადამე ფუკუსსაც იმ გვარი გასამრავლებელი ორგანოები ჰქონია, როგორიც ცხოველებსა აქვთ.

ავიღოთ მეორე მაგალითი—ყვავილოვანი მცენარე და ვნახოთ, როგორ ნაყოფიერდება ის. როგორც ცნობილია ეხლა, ეს მცენარე გასანოყიერებლად ხმარობს ყვავილს ე. ი. ამ ორგანოებს, რომელნიც მოთავსებულია იმ ყვავილში. ყვავილი მცენარის უმთავრესი ნაწილია. ამ ყვავილში მოთავსებულია პალოები (Тычинки) და სანაყოფე (пестикъ). პალოები—მამრობითი ორგანოებია, სანაყოფე—მდედრობითი. ყოველივე პალო შესდგება წვრილ ძაფისაგან და თავზე აკრავს ორი პაწაწა პარკი. პარკში მწიფდება მტვერი (ამიტომ ამ პარკს უწოდებენ სახელად „სამტვერე“. სანაყოფე შესდგება უფრო მსხვილ ძაფისაგან. მისს ზედა ნაწილს ჰქვიან ტუჩი. ტუჩიდან ძირამდის ჩადის მილი. როცა სამტვეროდან ჩამოვარდება მტვერი, დაეცემა ტუჩს, მერმე მილით ჩადის ქვემოდ, აქ ნაყოფიერდება და აჩენს ბუტკს (завязь). ბუტკიდან შემდეგში იზრდება ნაყოფი, ბუტკი რომ გავჭრათ, ვნახავთ, რომ შიგ მოთავსებულია ერთი ან ორი თესლჭაჭა (сѣмяпочка) ამ გვარია ყვავილის აგებულება. ეხლა ვნახოთ როგორა ხდება მისი განაყოფიერება.

როგორც კი მტვერი დაეცემა სანაყოფე ტუჩს, ცოტა ხანს ისვენებს, მერე უშვებს გძელ მილს და ჩადის ბუტკამდის. ბუტკი უერთდება თესლჭაჭას პაწაწა არხით. თესლჭაჭა შესდგება მრავალ უჯრედისაგან—ამათ შუა ერთი დიდია და დანარჩენი პაწაწა. დიდ უჯრედს ეძახიან სანაყოფე პარკი. რამოდენიმე ხნის შემდეგ პარკი იყოფა რვა ბირთვად. სამი მათგანი შემდეგში იცვლებიან ტიტველ უჯრედებად, რომელთა შუა ერთი რჩება კვერცხად ანუ უჯრედ კვერცხად (яйцеклѣтка)—აი ეს კვერცხია, რომელსაც ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს განაყოფიერების დროს, ამ კვერცხიდან წარმოსდგება ახალი მცენარე. რაც შეეხება დანარჩენ ბირთვებს, ამაზე ჯერ მეცნიერებას ვერაფერი გადაჭრილი ვერ უთქვამს.

ესაა და ეს, რაც გვინდოდა გვეთქვა. ცოტა არ იყოს, თავი მოვაწყინეთ მკითხველს წვრილმანი აღწერილობით, მაგრამ უამისობა შეუძლებელია. ბიოლოგია იმ გვარი მეცნიერებაა, რომელიც სიცოცხლის მოვლენის ასახსნელად. ჯურღმულამდე მიჰყვება ხაგანს. ასე რომ არა, ბიოლოგია რას შესძლებდა? ეხლა შევადაროთ ფუკუსის და ყვავილიან მცენარის განაყოფიერება.

ფუკუსის გასამრავლებელი ორგანო ოოგონია და ანტერიდიაა, ყვავილიან მცენარის პალო და სანაყოფე. ერთი შეხედვით მათ შუა არავითარი მსგავსება არ მოიძებნება, მაგრამ ეს ერთი შეხედვით. ნუ თუ ფუკუსის ოოგონია იმავე ფუნქციას არ ასრულებს, რასაც ასრულებს ყვავილის სანაყოფე? ნუ თუ სამტვერე იმასვე არ სჩადის, რასაც—ანტერიდია. ფუკუსის სამტვერე სავსეა სპერმატოზოიდებით, ჰყავს თუ არა ესენი სამტვერეს? ათიოდე წლის წინად ამ გვარ საკითხზე უარით უნდა გვეპასუხნა, მაგრამ ეხლა, როდესაც გამოქვეყნებულია იაპონელ მეცნიერთა იკენოს და ხერაზეს შესანიშნავი გამოკვლევა ამ საკითხის შესახებ, თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ სამტვერესაც ბევრი აქვს სპერმატოზოიდები.

მაშასადამე, როგორც სჩანს, სქესობრივ გამრავლებას დიდი მნიშვნელობა ჰქონია ბუნებაში. სქესობრივი გამრავლებით მრავლდებიან არა თუ ცხოველები, მცენარეებიც. რასაკვირველია, ყოველივე შემთხვევაში ეს გამრავლებაა არაა ერთი და იგივე ტიპისა, მაგრამ ამის მიუხედავად მისს შინაარს შეადგენს ორ უჯრედთა შეერთება და განაყოფიერება. ეს მოვლენა ძლიერაა გავრცელებული ბუნებაში, ესაა მიზეზი, რომ არსებანი სცოცხლობენ, ვითარდებიან და ჰარმონიულად აღწევენ თავიანთ მიზანს.

ზოგიერთი არსება ორი სქესისაა ე. ი. მას აქვს მამრობითი და მდედრობითი ორგანოები. ამგვარ არსებას უწოდებენ ღერმაფროდიტი (ბერძნული ღერმესი ვაჭრობის ღმერთი და აფროდიტა — სილამაზის ღმერთ), ზოგიერთი გაყოფილი სქესისაა ე. ი. ზოგიერთს აქვს მარტოკა მამრობითი ორგანოები, ზოგიერთს მდედრობითი. ა. დ.

აგერ თითქმის ნახევარი წელიწადი და მისი აღარა ისმის რა. კარგი იქნება ბ-ნი დავიდოვი დააშურებდეს და თუ ღირსად გვცნობს, მალე გვამწვევოდეს კეთილ განზრახვის განსახორციელებლად. **სან—განი—ძე.**

---

**ქ. დუშეთი.** 12 ივლისს, სადამოს ათ საათზე, ტფილისიდან საგუბერნიო ექიმ ქიქოძის და საერობო დარაჯთ: ინსპექტორ — ბობროვსკის თანხლებით მოვიდა დუშეთში ტფილისის გუბერნატორი ლოზინსკი, რომელიც იმ დღესვე სამაზრო სასანიტარო აღმასრულებელ კომისიის სხდომას დაესწრო.—მეორე დღეს გუბერნატორმა დაათვალიერა ქალაქი და მისი ანტისანიტარული მდგომარეობით ძლიერ უკმაყოფილო დარჩა; დაათვალიერა, სხვათა შორის, სანოვაკის დუქნები და მათ ანტისანიტარულ მდგომარეობაზე უბრძანა მაზრის უფროს შეედგინა ოქმები და დუქნების პატრონების დაჯარიმებაზე შუამდგომლობა აღეძრა.

ნაშუადღევის 3 საათზე გუბერნატორი ტფილისს დაბრუნდა.

სამიდან—12 ივლისამდე მაზრაში **ხოლერით** ავად გახდა და გარდაიცვალა სულ 24 კაცი, მათ შორის, თვით დუშეთში—5. ავად არის ს. ანანურში 6,—და არდუნში—2 კაცი. როგორც გწერდით, სოფლის მცხოვრებნი სულ ერთიან ტყეებში გაიხიზნენ; თავი მიანებეს მკასაც, ლეწვასაც და სხ., მაგრამ ვერც ტყეში ემალებიან საშინელ სენს; ზემო მოყვანილი ცნობები ოფიციალური წყაროებიდან არიან აღებულნი,—მაგრამ... თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ბევრი პატრონი, რასაკვირველია შეიცობით, მალავს ხოლერიან ავადმყოფს, ეს ციფრა უთუოდ ნამდვილზე ნაკლები უნდა იყოს. **გიგო.**

---

## სუფიქსი ხ, როგორც ნიშანი მრავლობითი რიცხვისა ქართულს ენაში.

მეცნიერთა გამოკვლევით ვანის ლურსმულ წანაწერებში, რომელიც დაუტოვებიათ ჩვენ წინაპრებს, იპოება სუფიქსი **ხი.** კუნეილოგები ამ სუფიქს სიმრავლედ ჰსთარგმნიან, ანუ ჰსთვლიან მრავლობითი რიცხვის ნიშნად. ურ-ქართულ მონათესავე ხეთის ისტორიაში მოხსენებულია **ხეთიხი,** რომელიც მრავლობითი რიცხვია და ითარგმნება **ხეთები,** თუ **ხეთნი.**

ამას გარდა ძველი ბერძნების მწერლობაში ქართველთა სახელწოდებად იხმარებოდა **კარდუხი,** რომელიც აგრეთვე მრავლობით რიცხვს წარმოადგენს და ითარგმნება **კარდუები,** თუ **კარდუნი (კარდნი).** ცხადია ამ სიტყვის მხოლობითი რიცხვი უნდა იყვეს **კარდუ.** ეს **კარდუ** იგივეა, რაც **ქართუ,** მეგრელთა **ქორთუ** და სომეხთა **კორდუ.** მისგან თუ მისი ძირისაგან ჰსწარმოებს **ქართუ-ელი** (ქართველი) და **ქართლი.** რადგანაც ბერძნებმა ლურსმულ წანაწერთა კითხვა არ იცოდნენ, უნდა ვიფიქროთ, რომ **კარდუხი** გადმოუღიათ ქართველთაგან, რომელთაც ხმარებაში ჰქონიათ სუფიქსი **ხ,** როგორც ნიშანი მრავლობითი რიცხვისა.

მაგრამ საკითხავია, სუფიქსი **ხ** არის, თუ არა ეხლანდელ ქართულში, ან რა მდგომარეობა განიცადა სომეხთ ენაში, რომელიც გაარიულებამდე სემიტური ყოფილა, მის შემდეგაც შერჩენია კიდევ ძარღვი, ქართული ენის მონათესავე.

ქართულს ენაში დღეს სუფიქსი **ხ** შეხორცებია სიტყვას, სადაც იხმარება, თუმცა დაბოლოების ხასიათი წართმევია, მაგიერ შერჩენია სახელკრებულის მნიშვნელობა. მაგალითად:

**ვენახი,** ადგილი, სადაც კრებულად არის **ვენა,** ლათინურად vinea, ვაზი.

**ტალახი,** კრებულად **ტალა:** იგივე **ტენი** (ლ=ნ), რუს. Тина.

**ბალახი,** კრებულად **ბალა,** მრავ. რიცხვი **ბალანი,** სვნა. **ვარე,** წვერი, რუს. Волос—თმა, бор, ტყე და Борода, წვერი. (ბ=ვ; ლ=რ).

**ფიჩხი,** კრებულად **ფიჩ=ფიტ,** სომხ. *փայտ*, შეშა.

**კუჩხი,** მეგრულად **ფეხია,** კრებულად **კუთი. კუჩხი=კუთხი,** (ჩ=თ). **ფეხი** არიულია. ლათ. Pes, ბერძ. Pous, რუს. Пята.

სომხურს ენაში **ხ** სუფიქსმა განიცადა რამდენიმე მდგომარეობა: ზოგჯერ გამოითქვა, როგორც *ք* და მნიშვნელობიც შეინარჩუნა გრაბარში მრავლობითი რიცხვის ხასიათი. მაგალითად:

*արձանք,* ძეგლები.
*բերդք,* ციხეები.
*վիրք,* ქართველები.
*հայք,* სომხები; სომხეთი.
(ანალოგიად **ქართნი; ქართლი**).
*դուք,* თქვენ.
*կարուանք,* ჰკერავთ.

ზოგჯერ სრულიად დაუკარგა დაბოლოებისა და სიმრავლის მნიშვნელობა და გამოითქვა ხან *ք*, ხან კი *կ*. მაგალითად:

*վանք,* სავანე.
*միտք,* ფიქრი.
*փառք,* დიდება.
*ծունկք,* ოფლი.
*երկու,* ორი.
*երեք,* სამი.

როგორც ეხლანდელმა ქართულმა დაივიწყა **ხ** სუფიქსი, როგორც ნიშანი მრავლობითი რიცხვისა, ისე ეხლანდელი სომხური აშხარაბარი ჰსცდილობს, დაივიწყოს *ք*, როგორც დაბოლოვება მრავლობითის რიცხვისა და მის მაგიერ შემოიღოს *ր* (*եր*), რომელიც იგივეა, რაც ქართული **ნ,** და **ბ** (ებ) და სვანური **ლ** და **რ** (არ) სუფიქსები (ბ=ვ=უ=ნ=ლ=რ)

**პეტრე მირიანიშვილი.**

---

# უცხოეთი

**ფარული საზოგადოება ოსმალეთში.**

ოსმალეთის ფარულ საზოგადოების წევრებმა, რომელიც ევროპაში იმყოფებიან, მიმართეს ევროპის სახელმწიფოებს და პროტესტი განაცხადეს იმაზე, რომ აქ საზოგადოებას რეაქციონურ მიმართულების საზოგადოებათ აღიარებენ.

**ებრაელთა მუზეი პრაგაში.**

ამ დღეებში პრაგაში გაიხსნა ებრაელთა მუზეი. პრაგაში დიდი ხანია ებრაელები სცხოვრებენ თითქმის საბოლოო საუკუნოებიდან მოკიდებული. მუზეიში ნათლადაა აღნიშნული მთელი ისტორია პრაგელ ებრაელთა და მათი მისწრაფება თანასწორობისათვის. ცალკე ნივთებს შორის ყურადღებას იპყრობს იმპერატორ იოსებ მე II ბრძანება, რომელთაც მხარი აუქციეს განსაკუთრებულ კანონებს ებრაელთა მიმართ და მიხლე ეტელე'ს აფთიაქის გახსნის ნება მიეცა.

**ახალი კაბინეტი სპარსეთში.**

სპარსეთის მთავრობამ განაცხადა, რომ სეიდ-აბდულის მკვლელთაგან ერთი უკვე შევიპყარით და სასამართლოს გადავცემთო. ამის გამო ბაზრები გაიღება. მთავრობამ აღუთქვა სამღვდელოებას, რომ სამინისტროში ზოგიერთი ადგილი თქვენ დაგეთმობათო. გაზეთების ცნობით სპარსეთში უკვე მოახერხეს კაბინეთის შედგენა.

ახალგაზდა შაჰის სახელით რეგენტმა დაამტკიცა ახალი სამინისტრო: პირველ მინისტრად მუსტაფა ულმემალიკი, შინაგან საქმეთა მინისტრად—პრინცი ფერმან-ფერმა, საგარეო საქმეთა მინისტრად—ნავაბ გუსეინ-კული-ხანი; ფინანსთა მინისტრად—მეჯლისის ახლანდელი თავმჯდომარე ზექაულ მულქი, სამხედრო მინისტრად—ქავამუს სალტანე, იუსტიციის მინისტრად—დაბირულ მულქი, ფოსტა-ტელეგრაფების მინისტრად—პრინცი ასადულამირზა.

**ჰაერში ფრენა იაპონიაში.**

იაპონიაშიც აღმოჩნდნენ დირიჟაბლების გამომგონნი. ბრონმა ნარახარამ გამოიგონა ისეთი საფრენი მანქანა, რომელიც ყოველ წუთში შეიძლება ორმოც ძალიან ავტომობილად გადაკეთდეს. ამავე ბრონს გამოუგონია ჰაეროპლანი „გამნადგურებელი". პოლკოვნიკმა იამადამ გამოიგონა მსუბუქი დირიჟაბლი, რომელიც უკვე სცადეს ამ დღეებში მომხდარ ალლუმის დროს და მეტად კმაყოფილნი დარჩნენ იმის ფრენით. დირიჟაბლს ამოძრავებს ნავთით მამოძრავებელი. უკანა ნაწილში მიბმული აქვს პატარა კალათა, სადაც სხედან უფროსი და სპეციალისტი ინჟინერი, რომელიც ტელეფონით ელაპარაკება და და რიგს აძლევს წინა ნაწილში, მატორის ქვერდით მყოფ მექანიკს. მეორე კალათა ჩამოკიდებულია დირიჟაბლის ძირში, შუაზე, ძირი გავარდნილი აქვს ამ კალათას. კალათაში ზის კაცი, იქვეა აჰაფეთქებელი ნივთიერება. საჭიროების დროს ამ ნივთიერებას მტერს უშენს კალათაში მჯდომი კაცი.

**კორეის ანექსია.**

ვლადივოსტოკიდან დეპეშით ატყობინებენ რუსეთის გაზეთებს, რომ იქაურმა კორეელებმა პროტესტი გამოუცხადეს იაპონიის პირველ მინისტრს კორეის ანექსიის გამო. პროტესტში კორეელები აცხადებენ, რომ 1876 წლის ხელშეკრულების ძალით იაპონია მთელი ქვეყნის წინაშე აცხადებდა ხოლმე, რომ კორეის დამოუკიდებლობა უზრუნველ ყოფილი იქნებაო. მაგრამ 1905 წელში იაპონიამ ვერაგულად უღალატა თავის აღთქმას, დღეს ყველამ იცის, რომ იაპონიაზე ხარბი ერი არ მოიპოვება ქვეყანაზე. კორეელებს არ შეუძლიანთ სხვანაირად მოეპყრან იაპონელებს, თუ არ ზიზღით. ამ ბოლო დროს კორეელებში პატრიოტული გრძნობა იღვიძებს. იყო შემთხვევა, რომ კორეელებმა ტერრორსაც მიმართეს. ინსურგენტთა მოძრაობას თუმცა დროებით ჩააქრობს ხოლმე იაპონია, მაგრამ საბოლოოდ იმის ჩაქრობა ვერ ძალუძს. ანექსიის გამო კორეელები აცხადებენ, 400 წელიწადი დამოუკიდებელნი ვიყავით, თავისუფლად ვცხოვრობდით და დღეს ცერაფრის გულისათვის ვერ მეურიგდებით ანექსიას, შეიარაღებულ შეტაკებათა რიცხვს დასასრული არ ექნებაო. სამშობლოს გამყიდველთა პარტია—„ილჩინხოილებისა" რამდენიმე ასი კაცისაგან შესდგება და ვერას დროს ვერ იქნება 20 მილიონიან კორეელთა სურვილის გამომხატველი. თუ იაპონიას სურს მშვიდობიანობა ეიცვას კორეაში—ხელი აიღოს თავის დღევანდელ პოლიტიკაზე და არ უნდა მოახდინოს კორეის ანექსია კორეის ხალხის დაუკითხავად. ხალხი ვერ აიტანს ასეთ სირცხვილს და თავის დასაკავად აღსდგება. ბოლოს პროტესტის ავტორები წინადადებას აძლევენ იაპონელებს, ჩაუფიქრდნენ, რასა სჩადიან. ხელი უწერიათ ამ საპროტესტო ქაღალდზე რამდენიმე ასს კორეელთ, რომელნიც ჩინეთსა და შორეულ აღმოსავლეთში სცხოვრობენ.

**რკინის გზის მოსამსახურეთა გაფიცვა საფრანგეთში.**

უცხოეთის გაზეთების სიტყვით, საფრანგეთის მთავრობა ენერგიულ ზომებს იღებს მომავალ გაფიცვის წინააღმდეგ. მკითხველებმა უკვე იციან, რომ მოსამსახურეთა სინდიკატმა უკვე გამოაცხადა საყოველთაოდ, რომ გაფიცვა უნდა მოხდეს. მთავრობის განკარგულებით საპიორთა პოლკი მზად უნდა იყვეს. ვერსალში მყოფ ამ პოლკის ნაწილს ებრძანა თავს იდვას და დაიცვას რკინის გზები სენისა და უაზას შუა.

რკინის გზათა საზოგადოებათა წარმომადგენლებს, კვლავინდებურად არა სჯერათ, რომ მუშათა გაფიცვა გაიმარჯვებს. ხმელთა შუა ზღვის გზების დირექტორმა ბორის მა გამოაცხადა, არავითარი შიში არაა, რომ გაფიცვა მოხდება ხალხი გულ არხეინად იყოსო.

გაფიცვის კომიტეტის მთავარმა ხელმძღვანელმა პატო! „მატენის" სიტყვით პირობა დასდო ერთ იმ პრესარიოსთან, რომელსაც განზრახული აქვს მთელს საფრანგეთსა, შვეიცარიასა და ბელგიაში იმოგზაუროს და დასდგას „ბარიკადა"— ცნობილი პიესა. ამ პირობის ძალით პატა მოვალეა, ყოველ წარმოდგენის წინ წაიკითხოს ლექცია სინდიკალიზმზე და გაფიცვის მოძრაობაზე.

---

# სასამართლო

**აზნაურობის ყალბი საბუთები.**

12 ივლისს ქუთაისის სალქო. სასამართლოში გაირჩა საქმე აზნაურობის ყალბი საბუთების შესახებ. ამ საქმეში მთავარი ბრალი ედებოდა აზნაურს სოლომონ აშორდიას, რომელსაც ამას გარდა ბრალდებოდა ვლადივოსტოკში ბანკებიდან ყალბი საბუთებით რამდენიმე ასი ათასი მანეთის გატანა. სასამართლომ აშორდიას მიუსაჯა ყოველივე უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და ერთი წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა. ხოლო აშორდიას ამხანაგებს ალექსი ადამიას და მიხეილ აშორდიას (სოლომონ აშორდიას ძმა)—უფლება უპირატესობის ჩამორთმევა და 8 თვით გამასწორებელ რაზმში გაგზავნა. აშორდიამ უარი განაცხადა სასამართლოს მიერ დამცველის დანიშვნაზე და თავის თავს სასამართლოში თითონ იცავდა.

აშორდიამ და მისმა ამხანაგებმა შეთხზეს არა მარტო საბუთები, ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორის და სალქო მზრუნველის წინადადებით მათ შეადგინეს აგრეთვე სამეგრელოს ანბანი და წირვა მეგრულ ენაზე.

---

# წერილი რედ. მიმართ

ქ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ წერილს თქვენს პატივცემულ გაზეთში.

სახ. გაზ, № 53 ახალ ამბავში დაბეჭდილი იყო ცნობა, რომ გასჩხრიკეს დაპატიმრებულ ანდრია გოგოლაძეს სახლი და დააპატიმრეს მარიამ გოგოლაძე და სოფიო შალამბერიძე. ამათ პოლიციის მოთხოვნაზე იარაღი გამოეჩინათ, უარი განაცხადეს და დიდი ჯიუტობის შემდეგ გამოტყდნენ. პოლიციის აზრით ესენიც ყაჩაღთა ბრბოს უნდა ეკუთვნოდნენ და ამის გამო დღემდე დაპატიმრებულნი არიანო. საქმე ამ რიგად არ იყო. იმდღეს, როცა ბოქაული მოვიდა, მე გოგოლაძიანთა ვიყავი. ბოქაულმა განაცხადა დამნაშავე გამოტყდა და სთქვა იარაღი სახლში მაქვსო. გოგოლაძეს დედა შეშინდა და უთხრა იარაღი გადავაგდეო, მაგრამ ბოქაულმა ეს არ დაიჯერა და საპოლიციო ნაწილში წაიყვანა, ამის შემდეგ მე და იქ მყოფ მეზობელ ქალმა დაუწყეთ სახლს ჩხრეკა და სალოგინეში ერთი რევოლვერი ვიპოვნეთ. მე მაშინათვე პოლიციაში წაველი შესატყობინებლად, მაგრამ მარიამ გოგოლაძე უკვე გამომტყდარიყო და ისევ სახლში მჰყავდათ. მარიამ გოგოლაძე იმავე დღეს გამოუშვეს და მეც მხოლოთ დაკითხვა ჩამომართვეს. სოფიო შალამბერიძე.


# განცხადებანი

## დოქტ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
უოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვე'ისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. აველტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1½—2 ს. შინაგ და ბავშვთა ავად.

**კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა:** 9½—1ს. ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმანცი:** 6—6½ ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ, გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა ნავასარდიანა.**

---

ვ. ყიფიანის დრამა

## სამეგრელოს მთავარი ◀ ლევან

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად გამოცემა გაზ. „დროების" რედაქციისა და კ. მესხიევისა.

**ფასი ორი აბაზი**

იყიდება „დროების" რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

---

## ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბავშვთა, სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—14)

---

## მატარებლების მიმოსვლა

**18 აპრილიდან 1910 წ.**

საათები ნაჩვენებია ტფილისის დროის მიხედვით, რომელიც პეტერბურგისას 58 წუთით წინაა.

**ტფილისიდან გადის**

**ბათუმისკენ:** N 1, სწრ.—საღ. 11 ს. 28
N 3, საფ-ს.—დღ. 1 ს. 24
N 5, სამგზ.—საღ. 7 ს. 31
**ბაქოსკენ:** N 2, სწრაფ.—დილ. 8 ს. 15
N 4, საფ-ს.—საღ. 10 ს. 4
N 12, სამგზ.—დღ. 2 ს. 38
**ბორჯომისკენ:** სამგზ.—დილ. 8 ს. 28
სამგზავ.—დღ. 3 ს. 36
**ჯულფისკენ:** საფოსტო—ღამ. 12 ს. 22
**ერევნისკენ:** სამგზავრო—დღ. 4 ს. 15

**ტფილისში მოდის**

**ბათუმიდან:** N 2, სწრ.—დილ. 7 ს. 25
N 4, საფ-ს.—საღ. 9 ს. 4
N 6, სამგზ.—დილ. 11 ს. 4
**ბაქოდან:** N 1, სწრფ.—საღამ. 10 ს. 36
N 3, საფოს.—დღ. 12 ს. 24
N 1. სამგზ.—დილ. 6 ს. 58
**ბორჯომიდან:** სამგზ.—დილ. 6 ს. 28
სამგზ.—საღამ. 8 ს. 08
**ჯულფიდან:** საფოსტ.—დილ. 6 ს. 8
**ერევნიდან:** სამგზავ.—დღის. 6 ს. 33

---

◀ **სამეურნეო ჟურნალი** ▶

## მოსავალი

**წელიწადი მეორე**

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისა თვის. ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. რედაქცია ჰპირდება თავის ხელის მომწერლებს **რჩეულ** მცენარეების **საუკეთესო თესლის** გაგზავნას **უ ფ ა ს ო დ.**

თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნალის ხელის მომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის აგრეთვე **უფასოდ** თითო **წიგნს-ბროშურას** მეურნეობის რომელსამე დარგიდან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская 5. Редакція „Мосавали".

---




**მ ო ი თ ხ ო ვ ე თ**

## სწორე და მკვიდრი საათები!

**ნუ გამოეკიდებით იაფ ფასიან საათებს. კარგ საათებს ყოველთვის თავისი ფასი აქვს. პარიზის ახალი რამ.**

ორას მანეთიან ოქროს საათების მაგიერ გირჩევთ შეიძინოთ კაცის უხმო საათები სამი საჭურავით «სემხია», რომლებიც სილამაზით და სიმკვიდრით ოქროს საათებს არ ჩამოუვარდებიან, რადგანაც 14⁰.₀ ოქრო აქვს შემოკრული. ამ საათების მექანიზმი ნამდვილ შვეიცარიულია, მუშაობს 15 ქვაზე და მეტად კარგი ზამბარა აქვს, დაქოქვა 40 საათში ერთხელ, უგასაღებოდ. საათები ნამდვილი ახალი ოქროსია და თავის კარგ თვისებათა გამო დაჯილდოვებულია ოქროს მედალით „სიკარგის ნიშნით". ფასი 5 მ 25 კ. 2 ც. 10 მ. 4 ც. 19 მ. 50 კ. ვინც გასინჯავს ამ საათებს დარწმუნდება, რომ ის 250 მან. ღირს. საათები იგზავნება წუთით წუთამდე გასწორებული 10 წლის პასუხის მგებლობით, ფას-დადებით და უბეოდ. გაგზავნა გადასახადით 60 კ. (ციმბირში 90 კ.).

| ПАРИЖЪ PARIS 7 | S. Strumfeld Rue Mirbel 2 bis. |
|---|---|

უფასოთ ვგზავნით ახალი ოქროს მშვენიერ ძეწკვს ბრელოკით და ზამშის ბუდით. მიმართვა შეიძლება რუსულ ენაზე. დახურულ წერილზე უნდა დააკრათ 10 კ. მარკა, ხოლო ღია წერ. 4 კ. ადრესი გთხოვთ ამოსჭრათ და მაგრად დააკრათ კონვერტზე ან ღია ბარათზე. (52—6.—3)


---

# ანგარიშთა მდგომარეობა

ჰიათურის შავი ქვის მრეწველთა საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა.

**1 ივლის 1910 წელს.**

აქტივი (აქვს).

| | | მან. | კ. |
|---|---|---|---|
| 1. კასსა, ნაღდი ფული | | 7575 | 31 |
| 2. სახელდახელო ანგარიში: | | | |
| ა) სახელმწ. ბანკში და ხაზინაში | 130,— | | |
| ბ) ქუთ. განყ. აზ. დ. კ. ბანკ. | 246,98 | 376 | 98 |
| 3. სარგებლ. ქაღალ. | | | |
| ა) სათადარიგო თანხ. ანგარ. მ. | 894,01 | | |
| ბ) საზოგადოების ანგარ. „ | — — | 894 | 01 |
| 4. განაღდება თამასუქებისა არა ნაკლებ ორის ხელის მოწერით | | 42380 | 04 |
| 5. განაღდება სარგ. ქაღალდ. კუპონები და სხვა | | 23344 | 85 |
| 6. პროტ. წასული თამასუქ. (უზრუნ.-ყოფ. თანხა იხ. გ. პას.) | | 5999 | 80 |
| 7. სესხი გაც. გირავ. | | | |
| ა) სარგ. ქაღალდები უზრუნ.-ყოფილ სარგ. | — — | | |
| ბ) სარგ. ქაღალდები არა უზრუნ.-ყოფ. მთავ. მიერ | 9102,— | | |
| გ) შავ ქვაზე | 92376,97 | | |
| დ) საქონელზედ | 1250,— | 102728 | 97 |
| 8. კორესპონდენტ. | — — | | |
| ა) იმათ ანგარ. | 2716,19 | | |
| ბ) საზოგ. ანგარ. | 219,40 | 2935 | 59 |
| 9. გერბ. ქაღალდ. და თამ. | | 29 | — |
| 10. მოწყობა-გამართვა საზოგად. | | 2570 | 57 |
| 11. ხარჯი დასაბრ. | | 4804 | 44 |
| 12. ზარალი 1905 წ. | | 218 | 78 |
| 13. მიმდინარე ხარჯი | | 4161 | 69 |
| 14. მიცემული სარგებ. და კომისია. | | 5769 | 05 |
| **ბალანსი** | | **203789** | **08** |

(მართებს) პასსივი.

| | | მან. | კ. |
|---|---|---|---|
| 1. თანხა, რაიცა შესდგება 10 პროცენტ. შემ. სასწ. ფულით 215 წევრთა მიერ, მიცემულ ვალდებ. რაოდ. საზ. წინაშე | | 19180 | |
| 2. დასაბრ. საწევრო ფული, თანახმად §§ 12 და 14 წეს. საზოგ. | | 361 | 24 |
| 3. თანხა: | | | |
| ა) სათადარიგო | 5269,30 | | |
| ბ) ამორტიზაც | 1532,64 | | |
| გ) პროტ. წას. თამასუქების უზრუნ.-საყ., შემდეგ 1906—9 წ. მოგებიდან | 5999,80 | 12801 | 74 |
| 4. შემოტ. ფული: | | | |
| ა) სახელდ. ანგ. | 32638,17 | | |
| ბ) ვადით | 23947,94 | | |
| გ) უვადოთ | 400,— | 56986 | 11 |
| 5. განაღდ. თამას. საზოგად. მიერ: | | | |
| ა) სახელ. ბანკის განყოფ. მან. | 15960,— | | |
| გ) აზ. დ. კ. ბანკ. ქუთ. განყ. | 9975,50 | 25935 | 50 |
| 6. საგანგებო სახ. ანგარ.-უზრ.-ყოფ. | | | |
| ა) სარგებლ. ქაღალდ. მან. | 698,21 | | |
| ბ) შავის ქვის | 29110,34 | 29808 | 55 |
| 7. სესხი აღებ. საზ. მიერ შავი ქვის გირავნობით | | 36030 | 09 |
| 8. კორესპონდენტ.: | | | |
| ა) იმათის ანგარ. (Loro) | 3305,30 | | |
| ბ) საზოგ. ანგარ. (Nostro) | 6279,12 | 9584 | 42 |
| 9. გადასაგზ. შემოტ. ფული | | — | — |
| 10. გარდამავ. თანხა | | 1771 | 17 |
| 11. სარგებელი მიუღებელი ფულის შემომტანელთა | | 730 | 44 |
| 12. ½ პროც. სახელ. გარ. | | 80 | 31 |
| 13. წმინდა მოგება 1909 წლისა | | 102 | 61 |
| 14. შემოსული სარგებელი | | 10416 | 90 |
| **ბალანსი.** | | **203789** | **08** |

თავმჯდომარე გამგეობისა **თავ. ი. გ. აბაშიძე.**
ბუხჰალტერი **სოფ. ტარუაშვილი.**

დირექტორები: ( **თ. ვ. ჯაყელი.** ( **ა. ზ. გალუსტოვი.**